

# ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპიტი.

ქართული  
ენის  
საზოგადოებრივი  
აქტიურობის  
კავშირის  
გამათავსებელი  
ნაწილი  
№ 16

კვირა, 18 ივნისი

ქოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5, ტელეფ. № 922.

**სარჩენი:**—მარტულ რადიკალ ზმი და კულტურული განვითარება. I.—ავად-აზარობის დანაწილება, მეგობრისა.—ეროვნული საკითხი და ავტონომია, პ. გ-ლისა.—პატარა ფიქრები, ა-ლისა.—\* (გენერულიდან) დ. თამაშელისა.—ახალი პრია სათბობიროში, კ. ს-ისა.—სათბობრო დასაერთო აფიცვა, სტუმრისა.—ავტონომია, ფედერაცია და ეროვნული საკითხი.—დაბრუნება! სვ. ყიფიანისა.

## პარტიული რადიკალიზმი და კულტურული განვითარება

### I

ამ დღეებში ერთმა ქართულმა გაზეთმა დიდად დაგვაფანტა, —გაგვიხსენა და ჩვენი თავი მკითხველსაც გაახსენა. „ჩვენება, —სწერს იგი, —კიდევ დაავიწყდა მკითხველს, მაგრამ ბ-ნ გოგიანიშვილის გაზეთი „ივერია“ მაინც კიდევ გამოდის კვირაში ერთხელ“. აქეთ გახსენებისთვის ჩვენ, რასაკვირველია, მადლობას ვუძღვებით ბ-ნ გრ. რცხილაძის გაზეთს. თუმცა ქართულ ენაზე ბევრი გაზეთი არ იბეჭდება, მაგრამ თქვენ აღბად მაინც ვერ მიხვდებით. თუ რომელია ბ-ნ რცხილაძის საპატრონო გაზეთი. ვერ მიხვდებით არა იმიტომ, ვითომ დავიწყებოდეთ, —ვინაიდან დავიწყება შეიძლება მხოლოდ იმის, ვისაც ოდესმე იცნობდით და გახსოვდათ, — არამედ იმის გამო, რომ დიდი ზომა და მრავალრიცხოვანი ტირაჟი იმ გაზეთისა, რომელსაც იგი რედაქტორებს, სრულიად რადიკალს და არ აჩენს მის მოკლე გვარის პატრონ რედაქტორს. ამიტომ ჩვენ ბ-ნ რცხილაძეს პირდაპირი „რეკომენდაცია“ უნდა გავუწიოთ და დავაღებაც ამით გავი სტუმროთ: როგორც ვაზ „შრომის“ აწერია ბოლოში, ბ-ნი გრ. რცხილაძე გახლავთ ამ გაზეთის კონონიერი რედაქტორი და გამომცემელი.

ჰო და —ეს ცნობილი და დაუვიწყარი რედაქტორი აუ მისი გაზეთი მეგობრობას გვიწევს ჩვენ, დავიწყებულებს, — ჩვენ თავს გულმტკუნეულად ახსენებს თავის მკითხველებს. და ჩვენც ამგვარ დავაღებებს მხოლოდ ჩუმ მადლობით გადავიხდით ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულიად უყურადღებოდ დავტოვებდით, რომ ხსენებული გაზეთი მარტო „გახსენებით“ კმაყოფილდებოდეს და ჩვენი „ტაქტიკის“ გამო საყვედურს არ გვიათვილიდეს. ეს საყვედური კი ძალიან დამახასიათებელია არა თუ იმ გაზეთისთვის, რომელშიაც მოქცეულია, არამედ მთელ ჩვენებურ პარტიულ ვითარებისთვისაც და ამიტომ ღირს მასზე ყურადღების მიქცევა. ჩვენი დანაშაული თურმე ამაში მდგომარეობს, რომ „ივერია“ ძალიან ცდილობს ყველა პარტიებზე მადლა დადგეს და უპარტიო მიუდგომლობით გაატაროს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა“ და ამიტომ „რაც ხანი გადის, ეს გაზეთი მით უფრო ვაბედულად (დახეთ!) ჰკიცხავს სოციალისტების ტაქტიკას... და ეხლანდელი საერთო

გატაცება სოციალიზმით და რადიკალიზმით კულტურის უქონლობის ნიშნად! მიაჩნია. როგორც ხედავთ, ვაზ. „შრომის“ ამ შენიშვნაში გატარებული აზრი შეეხება ჩვენს ქართულ მდგომარეობას, რაც ხშირი მოვლენა არაა ხსენებულ გაზეთში. „შრომის“ უსახელო პუბლიცისტს უფრო ემარჯვება ხოლმე სატახტო გაზეთებიდან ვადმოქართულებულ წერილებს ბეჭდვა მეთაურებად თავის გაზეთში და ისიც —მუდამ რუსეთის სათათბიროს შესახებ, ვიდრე ჩაკვირდება ჩვენს ადგილობრივ ცხოვრებაში და გზას გარკვევა ჩვენებურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ამიტომ სასიამოვნოა, როცა ხსენებული გაზეთი, თუნდა ჩვენი „ჩამორჩენილობის“ დასამტკიცებლად, ხმას აჰოილებს რომელიმე ქართულ საკითხებაზე და თავის მკითხველს მიუთითებს ჩვენს თანამედროვე მდგომარეობაზე.

ამ შემთხვევაში ვაზ. „შრომის“ აზრი ძალიან მარტივი და ადვილი გასაგებია. ეს გაზეთი, ანუ უკეთ მისი პუბლიცისტი ხედავს, რომ ქართველებში მხოლოდ სოციალისტური პარტიებია ფებზოკიდებული. სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, ანარქისტები —ყველანი სოციალიზმს აღიარებენ და სოციალ-დემოკრატთა თანასწორობის იდეალს ესწრაფებიან. საპარლამენტო არჩევნების დროსაც გამარჯვებულნი არებიან მხოლოდ სოციალისტები, — რუსეთის სათათბიროში დღეს-დღეობით საქართველოდან ვაგზავნილია 6 სოციალისტი (5 სოც.-დემოკრატი და ერთი სოც.-ფედერალისტი). ერთის სიტყვით დღეს ჩვენში მხოლოდ სოციალისტური პარტიები არიან პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე გაბატონებული. ჭაბა ვინ არ იცის, რომ სოციალისტური პარტიების მეტწიკლებად სრული გამოშვატეულია პოლიტიკურ რადიკალიზმისა. ჩვენი ცხოვრება, ამგვარად, თითქოს პირდაპირ გვიჩვენებს, რომ დემოკრატიული იდეები ქართველ ხალხში ძალიან ვაერკელებული და შესისხლხორცებულია და პოლიტიკური ცნობიერება დიდად განვითარებულია. ეს საგნებით სჯერა ვაზ. „შრომის“ პუბლიცისტს და ჩვენ შესაბარლის ჩამორჩენილ ადამიანად მივიჩნევართ იმის გამო, ვერ ვეძლევათ მასავით გულის დამამშვიდებელ რწმენას და ეჭვი შეგვაქვს, რომ ქართველთა პარტიულ რადიკალიზმს სარჩულად ედვას შესაფერი შევნება და კულტურული მომზადება.

ჩვენი ექვიანობის სიმართლის დასამტკიცებლად, სამწუხაროდ, თვით „შრომის“ პუბლიცისტი ვაძღვებს საბუთს. აი, ვასაჯეთ. ამას წინად „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო ჩვენი თანამშრომლის სვ. ყ-ნის წერილი, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, ჰგმობდა გორის მახრის თავად-აზნაურთა მარშლის საქციელს, რომელმაც დაჰპატიჟა და საღილი გაუმართა ქართლის გამაჩანაგებელ გენერალ-გუბერნატორს ბაუერს. ცხადია, ბაუერისთვის საღილის გამართვა ისეთი ფაქტია, რომ

მისი ღირსების შესახებ ორნაირ აზრის არსებობა მოწინავე პრესაში არ შეიძლება. მაგრამ გამოჩნდა ერთი ძველი მწერალი, რომელსაც ამის შესახებ „თავისებური“ აზრი დაურჩა. ბ.ნ. ლ. ლომაურმა, რომელიც დიდი ხნიდან ცნობილია ქართულ მწერლობაში, გამოავიჯაზენა „წერილი რედაქციის მიმართ“ და გვთხოვა მისი დაბეჭდვა. ბ.ნ. ლომაური, თავის შეხეულობის კვლობაზე, იცავდა გორის მაზრის მარშალს და ჰკიცხავდა ჩვენს მუდმივ თანამშრომელს „უსამართლობისთვის“. ამგვარად, თუმცა ბ.ნ. ლომაურის წერილი ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული, ჩვენ მიხედვით მიგვეცით ავტორს თავისი აზრი გამოეთქვა და—ჩვენის აზრით—მისთვის არა სასახელო როლი ადვოკატისა მკითხველ საზოგადოებისთვის გაეგებინებოდა: დავბეჭდეთ ბ. ლომაურის „წერილი რედაქციის მიმართ“. ბ.ნ. ლომაური უწლოვანო არ არის ქართულ მწერლობაში და, ცხადია, უფლება გვაქვს მისი წერილისთვის მასვე დავაქსროთ პასუხის მგებლობა. ყველაფერი ეს თავის თავად ცხადი და ნათელია, მაგრამ, საუბედუროდ, არ ყოფილა ნათელი „შრომის“ პუბლიცისტისათვის. იგი ბუკსა და ნალარას უკრავს ამის გამო, რომ ბ.ნ. ლომაურს საშუალება მიეცემა თავისი აზრი, ან უკეთ, უაზრობა ჩვენს წინააღმდეგ ჩვენსავე ვაზეთში გამოეთქვა. მას უკვირს და ვერ გაუგია, თუ როგორ შეიძლება შენს მოწინააღმდეგეს სიტყვის თქმის ნება მისცე, თუ ეს ნება რთვა შენზეა დამოკიდებული. რახან, თურმე, „ივერია გოგინაი შვილის ვაზეთია“, „შრომის“ მეცნიერს ჰგონია, რომ ვაზეთში ერთი სტრიქონიც ვერ უნდა დაიბეჭდოს ისეთი, რომელსაც გოგინაი შვილი არ ეთანხმება. კერძო საკუთრების მომხრეობაც ასეთი უნდა! და ამას ამბობს კაცი, რომელიც ვითომ სოციალისტურ პროგრამას აღიარებს თავის მრწამსად.

მაგრამ თავი დავანებოთ ვაზ. „შრომის“ და მის პუბლიცისტს. მათგან დამოუკიდებლადაც საინტერესოა იმ საკითხის გარკვევა, თუ რამდენად დაკავშირებულია ერთი მეორესთან ჩვენში პარტიულ რადიკალიზმის გამოიქვება და კულტურული განვითარება. ზოგადი მოსაზრება და რეალურ ცხოვრების მოვლენებში ჩაკვირება ნათლად დავანახებებს, რომ ამ შემთხვევაში პარტიული „ოპტიმიზმი“ თავის მოტყუება და რომ, სახარებისა არ იყოს, მარტოდონ „უფალო, უფალო“-ს დახილი არ კმარა სასუფეველოში შესასვლელად...

(შემდეგი იქნება)

### თავად-აზნარობის დაწაფილება

რუსეთის „დგორიანსტო“-სა და ჩვენს თავად-აზნარობას შორის დიდი განსხვავებაა,—მათი შედარებაც კი არ შეიძლება. ჩვენი თავად-აზნარობა ისე მრავალ-რიცხოვანია და მრავალ ფეროვანი, რომ მისი ერთი სახელით მონათვლა დიდი შეცდომაა. ჩვენში აზნაურები წინად დამოკიდებულნი იყვნენ თავადებისგან და თითქმის ისევე უმებად ითვლებოდნენ, როგორც გლეხები. მეფე როცა უბოძებდა რომელიმე თავადს საჩუქარს, ეტყოდა: მიუხუტებია შენთვის ესა და ეს აზნაურ-შვილები თავისი გლეხებითა. და როგორც გლეხი, ისე აზნაური ითვლებოდა თავადის საკუთრებად. ერთი თავად-შვილი იყო გორის მაზრაში, რომელიც დღემდის თავის მეზობელ აზნაურებს „ჩემ აზნაურებს“ ეძახდა.

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტად დრომ განვლო. თავადები გამრავლდნენ, მათთან ერთად გამრავლდნენ აზნაურებიც, მამული დაქუცმაცდა. სხვა გუბერნიებსა და მაზრებს

რომ თავი დავანებოთ, მარტო გორის მაზრაში ამჟამად ითვლება დაახლოვებით 1200 თავად-აზნაურთა სახლობა. სახლობაზე რომ ხუთი სული ვიანგარიშოთ, ეს შეადგენს 6000 სულს. ვადიშვილია 26 გვარეულობა, დაახლოვებით 230 სახლობა. ამათში თამ 230 სახლობაში 40-50 სახლობა თუ იქნება ასეთი ისე შეძლებული. დანარჩენი ათასი სახლობა აზნაურია, რომლებსაც, თუ რამდენიმე მსხვილ მემამულე აზნაურს არ ვიანგარიშებთ, აქვთ ზოგს ორი, ზოგს ათი, ზოგს ოცი დღიური.

ვისაც ქართლი დაუვლია და ხალხის ცხოვრებას დაკვირვებია, ის ნახავდა, რომ მრავალი აზნაური არაფრით არ განირჩევა გლეხებისაგან. ტანისამოსით თუ გააჩრევა აზნაურს, რადგან ჩოხსა და ახალუხს ჯერ კიდევ ვერ შეღვევია, თორემ ბევრს მათგანს უფრო დარიბულად აცვია, ვიდრე ზოგიერთ გლეხს. დაგლეჯილი ჩოხა, ქუქყიანი ახალუხი, ქალამნები და ნაზდის ქუდი, აი რა არის ხშირად მათი მორთულობა მათი ცხოვრებაც არ განირჩევა გლეხის ცხოვრებისგან. როგორც გლეხის; ისე აზნაურის მუდმივ საქმელს შეადგენს ჭადი და ლობიო. ისინიც ისევე მუშაობენ თავის ხელით, ისევე ღვრიან ოფლს, როგორც მუშობელი გლეხები. მრავალი თავადი და აზნაური რომ გაჩერდეს, ვჯღზე ხელი დაიკრიბოს და ღაღების შემოსვლას უტკბოდეს, ორ თვესაც ვერ მიატანს, შიმშილით დაეცემა ოჯახობა. ხშირია ის მაგალითები, რომ აზნაურს ენატრება რომელიმე გლეხის ადგილმამული დი საჩხო-საბადებელი. ხშირია მაგალითი, რომ გლეხი აზნაურს მშვიერს ეძახის და, როგორც მდიდარი ღარიბს, დაჭყურებს მას მაღლიდან ქვევით.

როგორ უნდა შეედაროს რუსის თავადი და აზნაური ქართველ თავადსა და აზნაურს, როდესაც რუსეთში გორის მაზრის ოდენა მამული ერთ კაცს უქირავს, აქ-კი—6000 თავადსა და აზნაურს!


გორის მაზრაში რამდენიმე ათასი თავადი და აზნაური სიხარულით მოაწერს ხელს და მიითხოვს—მიწასა და თავისუფლებას!

მათი მდგომარეობა აუტანელია. ისინი იმ ღამურას მდგომარეობაში არიან, რომელიც არც ფრინველებში სწერია და არც ცხოველებში. გლეხი მას თვის ძმად არ სთვლის და არ უახლოვდება; შეძლებული, დიდი გვარის თავადი ახლოს არ იკარებს, საქმეზე რომ მივიდეს, სკამზე არ დასვამს, სუფრაზე არ მიიპატუყებს და ყოველ შემთხვევაში აგრძობინებს, რომ ის თავადია, დიდი გვარის შვილი, შეძლებული, რომ მასთან საერთო არა აქვს რა.

ესეც არ კმარა. ღარიბი თავად-აზნაური სრულიად მოკლებულია ყოველგვარ მოქალაქობრივ უფლებას. სოფლის მართვა გამგეობასა და საქმეებში მას, ვითარცა აზნაურს, არავითარი უფლება არა აქვს, არა აქვს აგრეთვე უფლება თავად-აზნაურთა საქმეებშიაც.

გორის მაზრაში ექვსი ათას კაცში მხოლოდ ას ჩვიდმეტს აქვს ცენზი. მხოლოდ ას ჩვიდმეტს კაცს შეუქლიან მონაწილეობა მიიღოს სათავად-აზნარო საქმეებსა და არჩევნებში, დანარჩენი მშრალზე არიან გარიყულნი და არ იციან, ვინ მისცა მათ აზნაურობის „დიპლომები“, ან თუ მისცა, რად მისცა, რაში გამოიყენოს იგი.

ასე მიმდინარეობდა მათი ცხოვრება დღემდის თავადობასა და აზნაურობას მათთვის არავითარი საჩუქებლობა არ მოჰქონდა, მაგრამ ცუდსაც არაფერს ხედავდნენ მასში. დღეს მათთვის ამ წოდებას დიდი ენება მოაქვს: ხალხი აღარ არჩევს მათ ერთი მეორისაგან. ვინც თავადისა ან აზნაურ შვილის



გვარს ატარებს, ხალხის თვალში მტრად და დასახული, მის  
ებრძვიან და ეუბნებიან: ან შენ უნდა იყო, ან მეო!

ამ მოვლენას, რასაკვირველია, ბეჭდი მიზეზი აქვს. „დამნა-  
შავეა“ საქართველოს ისტორია, რომელმაც ხალხი კლასებად  
დაჰყო, დამნაშავეა თვით ეს ნაწილი ღარიბი თავად აზნაუ-  
რობისა, რომელიც დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრა-  
ობაში ნამდვილ გზას ასცდა და უგზო-უყვლოდ იწყო სია-  
რული, მაგრამ ყველაზე ჰეტად დამნაშავეა მთელ გორის მა-  
ზრაში ცნობილი ერთი ჯგუფი ჩინოსან ღ „ბრწყინვალე“ თავადე-  
ბისა. გასული წლის გაზაფხულზე, როდესაც ჩვენში განმათა-  
ვისუფლებელი მოძრაობა გამწვავდა, ჩვენი „ბრწყინვალე“  
თავად-აზნაურობა, ჩინოსნები და მდიდარი მემამულენი დაი-  
ბნენ, თავ-გზა დაჰკარგეს. აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეუ-  
ლიყვნენ: გამოეცხადებოდათ ომი გლეხებისთვის და ამგვარად  
დაეცვათ თავისი თავი და საკუთრება, თუ დამომბის გზას  
დასდგომოდნენ და ეცადნათ, როდის გამოიამინდებდა და მზე  
კვლავინდებურად გაუნათებდა მათ.

როგორც მოგვსენებათ, მთელი საქართველოს თავად-  
აზნაურებში გორის მაზრამ „ისახელა“ თავი. შესდგა მსხვილ  
მემამულეთა პატარა წრე და მიჰყვეს ხელი სხვა და სხვა „პროე-  
ქტების“ შედგენას. რა მიზანი ჰქონდა ამ წრეს, რას ემსა-  
ხურებოდა იგი, რა სახეს მიიღებდა შემდეგში, კაცმა არ იცის.  
ვიცით მხოლოდ მისი შედეგი: მან აგარაული მოძრაობა გაა-  
მწვავა, დიდი ვნება მოუტანა განმათავისუფლებელ მოძრა-  
ობას და ისედაც დაღუპული წვრილი მემამულე მთლად დაღუპა.

მაშინ ეს „ბრწყინვალე“ ჯგუფი დადიოდა წვრილ მემამულე,  
მშრომელ თავად-აზნაურებში და ეუბნებოდა მათ: ჩვენ  
წინააღმდეგ ამხედრდენ გლეხები, ინტელიგენცია, პრესა და  
სხვა. ჩვენ უნდა შევერთდეთ, მხარი მხარს მივცეთ და მტრებს  
უნდა გავუმკლავდეთო ამ მიზნით შეადგინეს ცნობილი  
„დრუჟინა“ ანუ „მილიცია“ და მშრომელი თავად-აზნაურობაც  
მოსტყუვდა, მიეცვდლა ამ „ბრწყინვალე“ თავადებს, ჩაწერა  
სათავად-აზნაურთა „მილიციაში“ და ამგვარად თავის ხელით  
თავისივე სამარე გაითხარა.

რას გხედავთ დღეს? „პროექტებმა“ ფუჭად ჩაუარა თავად-  
აზნაურობას, „დრუჟინა“, რომელსაც ხალხმა „შავი რაზმი“  
უწოდა, დაიშალა; „ბრწყინვალე“ ჯგუფი, რადგანაც სოფ-  
ლებში აღარ ედგომებოდა, დაიფანტა, დაქალაქებს შეაფარა  
თავი. დარჩენ სოფლებში ეს წვრილი, მშრომელი თავად-აზ-  
ნაურობა, რომლებსაც საღსარი არა ჰქვია, სადმე სხვაგან  
იკხოვრონ და რევოლუციის ტალღებში სათითაოდ იღუპე-  
ბიან: ხალხს ვერ უპატიებია მათთვის „შავ რაზმი“ ჩაწერა  
და ჩიტებივით ხოცავენ მათ, სადაც კი მოასწრებს. „ბრწყინ-  
ვალე“ ჯგუფით კი ქალაქში განისვენებს და ახალ-ახალ პრო-  
ექტებს ადგენს.

კმარა! რაც აქამდის ხდებოდა, ის ადამიანმა უნდა დაი-  
ვიწყოს. მშრომელი თავად-აზნაურობა უნდა კარგად ჩაუკვირ-  
დეს თავის მდგომარეობას, უნდა ზურგი შეუქციოს თავის  
„ბრწყინვალე“ მოგვარებებს, საბოლოოდ განშორდეს მათ,  
დაჰგმოს მათი მოქმედება, უარჰყოს წოდება, გლეხობას შე-  
უერთდეს და მასთან ერთად მოითხოვოს „მიწა და თავისუფ-  
ლება.“

ამ გვარად ჩვენი თავად-აზნაურობა გაიყოფა ორ ბანა-  
კად: მსხვილსა და წვრილ მემამულეებად, მუქთა-ხორა და  
მშრომელ ხალხად. მსხვილი და მუქთა ხორა მემამულენი შეა-  
დგენენ ერთ ჯგუფს, რაც უკვე მოხდა, ხოლო წვრილი და  
მშრომელი შეუერთდება გლეხობას და შეერთებულის ძალით

შეებრძოლება ამ პატარა ჯგუფს თავადებისას, რეჟიმის  
დგის მთელი რუსეთის ხალხი პატარა ჯგუფს ბიუროკრატებისა  
მ გზაბნა.

### მ რო ვ ნ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი და ა ვ ბ რ ე ნ ო მ ი ა

ერთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც სრულიად  
რუსეთის თურნალისტთა კრებაზე არა რუს ეროვნებათა წარ-  
მომადგენლებმა პირველად საჯაროდ და გარკვევით წამოა-  
ყენეს ეროვნულ თანასწორობის საკითხი და გამოაცხადეს,  
რომ ამ თანასწორობის დასამყარებლად საქიროა ავტონო-  
მია. კრებამ დაადგინა, რომ ავტონომია პრაქტიკულად გა-  
მოხატავს იმ თვითგამორკვევის უფლებას, რომელსაც სხვა  
და სხვა მცირე ერს ანიჭებს ყოველ მემარცხნე და დემოკ-  
რატიულ პარტიის პროგრამა.

ეროვნულ თანასწორობას საკითხი ცხადი და გასაგებია  
იმ ერებისათვის, რომელთაც ეს თანასწორობა აკლიათ, და  
როგორც მდიდარი, ყველაფრის მქონე ადამიანი ვერასოდეს  
ვერ გაიგებს ღარიბ ადამიანის გულისთქმას, როგორც მა-  
ღარი ვერ წარმოიდგენს მშვიდის უბედურებას, ისე სახელ-  
მწიფოში გაბატონებული ეროვნებაც ვერასოდეს ვერ მიუ-  
ხვდება დაჩაგრულ ეროვნების იდეალებს და მისწრაფებას.

რუსეთში ასოცდათ მილიონზე მეტი მკხოვრები არის. ამ  
ხალხის უმცირესი ნაწილი, რუსობა, სხვებზედ არის ეროვნუ-  
ლად გაბატონებული და შეუძლებლად ხდის ყველასთვის თავი-  
სუფალ კულტურულ განვითარებას. ზოგიერთები იტყვიან, რომ  
დაჩაგრული თვით რუსი ხალხიც იყო და რომ დაჩაგრვის მი-  
ზეზი მხოლოდ ახლანდელი კაპიტალისტური წყობილება  
არისო. მოსხეთ ეს წყობილება და ყველა ეროვნება რუსეთ-  
ში თანასწორად თავისუფალი შეიქმნებაო. მაგრამ კაპიტა-  
ლისტურ წყობილების დაშობამდის ეროვნულ თანასწორო-  
ბაზე ზრუნვის უარისყოფა არ შეიძლება. კაპიტალისტური  
წყობილება რომ მოისპობა, მაშინ ხომ მ საათის სამუშაო  
დღეც თავის თავად შემოვა. — მაშ დღეს ავიღოთ ხელი მ  
საათიან სამუშაო დღისთვის ზრუნვაზე? კაპიტალისტურ წყო-  
ბილების მოსპობით მოისპობა კაპიტალისტ-მექარაზნები. მაშ  
დღეს მუშამ მექარაზნებთან ეკონომიურ ბრძოლაზედაც ხელი  
უნდა აიღოს? არა! სამერმისოდ ასეთ რამეების გადადება არ  
შეიძლება. ყველა ეს რეფორმა ახლავე, დღესვე არის საქი-  
რო, დღესვე უნდა გავანთავისუფლოთ ადამიანი დაჩაგვი-  
საგან, — უნდა მოვსპოთ ეროვნული დაჩაგვრაც.

მაგრამ, ეგება, ეს დაჩაგვრა არც კი არსებობს რუსეთ-  
ში, — ყველა ეროვნება მონა და არც ერთ ერის გაბატონე-  
ბაზე ლაპარაკიც არ შეიძლება?

ეროვნულ დაჩაგვრის არსებობას რუსეთში ყველა არა  
რუსი ეროვნება გრძობს. იმ სახელმწიფოში, სადაც რუსობა  
უმცირესობას შეადგენს, მხოლოდ რუს ეროვნებას აქვს მინი-  
ჭებული ყველა ის კულტურული უპირატესობა, რომელ-  
საც ხალხისთვის იმეტებდა მთავრობა. არა რუს ერო-  
ვნებათა მდგომარეობა ხომ ყველამ ვიცით ბავშვობითვე ათას-  
ნაირი სახელმწიფო მოხელე ვაზნევეთა თავზე და ჩვენ გადა-  
გვარებაზე ზრუნავს. შევა თუ არა ბავშვი სასწავლებელში,  
მასწავლებელი მას ეუბნება, — დედაენა დაივიწყე, რუსული  
შეითვისე, თორემ უსწავლელად დაგტოვებო. სასამართლოში  
საქმე თუ შეემთხვა, მსაჯული გულგრილად შეჰკურებს და  
უცხადებს, შენი ენა არ მესმის, ჩემი, რუსული ენა ისწავ-  
ლე და ისე შემოდი სასამართლოშიო. ასევე ყველაგან,

ყველა დაწესებულებაში. ყველა ის სახელმწიფო მოხელე, რომლის შესანახავად ჯამაგირის ფულს ათას გვარ გადასახადის სახით ადგილობრივი ხალხი იხდის საჭიროდ საფლას ხალხს რუსული ენის ცოდნა მოსთხოვოს, — ხელი შეუწყოს ამით ადგილობრივ ხალხის დაზავება-გადაგვარებას.

რუსეთის მთავრობის აზრით, ყოველი არა რუსი ეროვნება იმდენად მამორჩენილი და განუვითარებელია, რომ არ შეიძლება მას მიენიჭოს ყველა ის უფლება უპირატესობა, რომელიც რუს ხალხს აქვს, როგორც, მაგალითად, ერობა, ნაფიცი მსაჯულები და სხვა.

იტყვიან, რუსეთში რუსებიც იჩაგრებიანო. მართალია! მაგრამ რუსებს თავისი ცუდი სასწავლებლები მაინც აქვთ, ჩვენ კი ჩვენი სასწავლებლები აკრძალული გვაქვს. რუსებს კულმოკვეცილა თვითმართველობა მიენიჭათ, ჩვენთვის ესეც ვერ გამოიმეტეს. რუსებმა უფლება შემცირებული ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო მოიწყვეს, ჩვენთვის კი ასეთი სასამართლო, თურმე, არ ვარგა, რადგანაც ჩვენ, რუსების აზრით, სამართლიანობის გრძობა რუსებსავე განვითარებული არ გვქონია. რითი, თუ არა რუსებისგან ეროვნულ დაზავებით, აიხსნება ასეთი მდგომარეობა, ეს განსხვავება, რომელიც რუსეთში გაბატონებულ საერთო დაზავებას ზედმეტ დაზავებად აწვება კისერზე ყველა არა რუსს. რუსები თუ მთავრობისაგან მხოლოდ პოლიტიკურად დაზავებული არიან, არა რუსებსაც წილად ხვდათ ასეთივე პოლიტიკური უფლებობა, მაგრამ მასთან ერთად ეროვნული დაზავებაც.

რუსები ეროვნულ დაზავებას არ გრძობენ, და, რასაც ადამიანი არ გრძობს, იმის შეგნებაც მისთვის ყოველთვის ძნელია. რუსი, ვინც უნდა იყოს იგი, მეცნიერი თუ უმეცარი ბურჟუა თუ პროლეტარი, მუშა თუ მექარხნე! მწერალი თუ პოლიტიკურ პარტიას აგიტატორი, ვერასოდეს ვერ შეიგნებს ეროვნულ თანასწორობის საჭიროებას ისეთისავე სიმწვავეთ, როგორც ეროვნულად ჩაგრული ადამიანი.

ამით და მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსულ პოლიტიკურ პრესაში ეროვნულ საკითხს იშვიათად ირკვევენ, რომ თვით მემარცხნე პოლიტიკურ პარტიების პროგრამები ეროვნულ თანასწორობის შესახებ ბუნდოდ და გაურკვეველად აცხადებენ ეროვნულ თვითგამორკვევის საჭიროებას, რომ პარტიების წარმომადგენლები ცდილობენ გვერდი აუხვიონ ამ საკითხს, ჩააფურჩინონ იგი და დავარწმუნონ, ვითომც ეროვნულ თანასწორობაზე მეტ სიტყვის წარმოთქმა მშრომელ ხალხის საერთო საქმისთვის სახიფათო რამ იყოს.

ამით აიხსნება, რომ, ხსენებულ ჟურნალისტთა კრების შემდეგაც, კრებაზე დამსწრე ჟურნალისტებმა ვერ შეასრულეს კრების დადგენილება და არ ეცადენ რუს საზოგადოებაში პრესის საშუალებით გავერცელებინათ აზრი ეროვნულ თანასწორობის და ავტონომიურ წყობილების აუცილებლობაზე, — სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმე აღმოაჩნდათ რუს ჟურნალისტებს, შინაურ საქმეების მოწყობისთვის მზადებას გადაალიეს შრომა და ნიჭი.

ამბობენ, ეროვნულ თანასწორობის წამოყენება ჯერ უდროვო იყო, რადგანაც ხალხს შეგნებული არა აქვს ავტონომიის ნამდვილი მნიშვნელობა და ეროვნულ თანასწორობის აუცილებლობაო. მაგრამ ეს, ვანა, გამართლებათ? ხალხმა თუ არ იცის რამ, ხალხის მოწინავე ელემენტებს ზემო აღნიშნულ თანასწორობის აუცილებლობა ხომ ნათლად აქვთ წარმოდგენილი! პრესაში და მწერლობაში, მიტინგებზე და

კერძო კრებებზე ამ მოწინავე ელემენტებს, საზოგადოების შეგნებულ ნაწილს უნდა ვავერცელებინა შეგნებულ ხალხში სწორი შეხედულება ეროვნულ საკითხის შესახებ, უნდა აიხსნას ყველასთვის, თუ რა არის ნამდვილად ავტონომია, თუ რამდენად საჭიროა მისი მიღება იმისთვის, რომ მოიპოვოს ეროვნული დაზავება და ხალხს თავისუფალ კულტურულ განვითარების საშუალება მიეცეს. როგორც სხვა ბევრი ახალი შეხედულება მხნე აგიტაციით გაურცელებიათ ხალხში, ისე ეროვნულ საკითხის შესახებ სწორი შეხედულება უნდა ჩაენერგათ ხალხის გულში.

მაგრამ ამ გზას რომელი პარტია დაადგა? რუსეთის რომელი პარტია გაბედა ხალხში ეროვნულ საკითხის აშკარად წამოყენება?

ნუ დავივიწყებთ, ამბობს პროფ. მიხ. გრუშვესკი, რომ ერთ ეროვნების გადაგვარებას მოჰყვება მეორე ეროვნების გაძლიერება და არა საზოგადოდ ეროვნების მოსპობა. შეიძლება ეროვნული სხვა და სხვაობა სასურველი არ იყოს, მაგრამ ამ სხვაობა სხვაობის არსებობა დღეს უტყუარო ფაქტია, და ამიტომ ეროვნულ თანასწორობაზე ზრუნავს ჩვენთვის აუცილებელია. ჩვენ ხომ სარწმუნოებასაც არაფრად ვაფასებთ, მაგრამ მაინც ვიბრძვით იმისთვის, რომ სარწმუნოებრივი თავისუფლება ზოთანასწორობა დამყარდეს, — ვგრძობთ „ეროვნულ საკითხების“ მოსაზრობად ერთად ერთი გზა არის, — ყველა ეროვნებისათვის თავისუფალ განვითარების საშუალების მიცემა“.

სამისოდ არ კმარა კონსტიტუციაში ან პროგრამაში აღნიშნა, რომ ყველა ერს ენიჭება თავისუფალ განვითარების უფლება. ასეთი მუხლი ავსტრიის კონსტიტუციაშიაც არის, მაგრამ სწორედ ავსტრიაში ეროვნული შუღლი და ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ იქ ყოველივე პოლიტიკური საქმიანობა შეუძლებელი შეიქმნა. ამ მუხლის განხორციელება იქაძალახეა დამოკიდებულია.

მართლაც, ვანა, შეუძლებელია ეროვნული დაზავება იქ სადაც კანონით პოლიტიკური თავისუფლება არის შემოღებული? ვანა თვით დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთი ეროვნება ვერ დასჩაგრავს მეორეს?

მართალია, სხვის დაზავებაზე აშენებული თავისუფლება სრული არ იქნება. ეროვნული დაზავება დამზავებელია გულში ყოველგვარ პოლიტიკურ მისწრაფებას აძლიერებს. სხვისი დაზავება ძირს უთხრის გაბატონებულ ხალხის კულტურულ განვითარებასაც!... ამიტომ, ცხადია, რომ განმათვისუფლებელ მოძრაობის გულწრფელ მოღვაწეს აზრადაც არ მოუფა თავისი ეროვნება სხვა ეროვნების დამონებით გაბატონოს სახელმწიფოში. მაგრამ ასეთ სურვილების უქონლობა არ კმარა, — საჭიროა მან სხვებისთვისაც შეუძლებლად გახადოს ასეთი დამონება, აუცილებლად სიჭიროა ისეთ პირობების შექმნა, რომ ყველა ეროვნებას თავისუფალ განვითარების საშუალება მიეცეს.

სამისოდ კი საუკეთესო გზას გვიჩვენებს ჟურნალისტების რეზოლუცია: ეს გზა — სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია და ეროვნულ ტერიტორიაზე თვითმართველობის შემოღება. მხოლოდ ამ საშუალებით არის შესაძლო ეროვნულ საკითხის სრული მოსპობა თუ არა, შესაძნეველ შესუსტება მაინც, ერთმა მწერალმა სთქვა, რომ ეროვნული საკითხი ადამიანის ჯანმთელობას ჰგავს. როდესაც ადამიანი კარგად არის, მაშინ იგი თავის ჯანმთელობაზე არ ზრუნავს, მაგრამ ავად თუ გახდა, ყველაფერს იფიქრებს და მთელ თავის საცხოვრებელს სწეულების მოსპობას ანდომებს. ასევე ეროვნულ

შევიწროვებასა და დაჩაგვრას რომ არ გრძნობს ხალხი, მაშინ იგი ეროვნულ საკითხის შესახებ ფიქრსაც ივიწყებს, მაგრამ, აბა სცადეთ მისი ეროვნულად დაჩაგვრა,—იგი როგორც ერთი ადამიანი აზხედრდება ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად.

ეროვნულ შევიწროვების მოსასპობად კი უნდა შემოვიღოთ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია.

ყოველ მთლიან ეროვნულ ტერიტორიას უნდა მიენიჭოს თვითმართველობა.

ყოველ ასეთ ტერიტორიაზე სხვა ეროვნების უმცირესობასაც უნდა მიეცეს შესაფერი გარანტიები, რომ მათი ეროვნული უფლებები არ შეიზღუდებოდეს.

ასეთი თვითმართველობა უნდა მიენიჭოს რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებას, მათ განათლების და განვითარების მიუხედავად,—უნდა მიენიჭოს მიუხედავად იმისა, იბრძვის თუ არა იგი ავტონომიის მოსაძებნად.

მართლაც, მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებას და თანასწორობას თუ ვითხოვთ ყველასათვის განურჩევლად, მდიდრისა და ღარიბისთვის, დიდისა და პატარისთვის, განათლებულისა და გაუნათლებელისთვის,—ასეთსავე თავისუფლებას თუ ვითხოვთ ყველასათვის სარწმუნოების საქმეებშიაც.—რად უნდა დავადგეთ სხვა გზას ეროვნულ საკითხში, რომლის სამართლიანი გადაწყვეტა ისეთივე საჭიროა ყველასთვის, როგორც პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი თავისუფლება? ეროვნულ განვითარების უფლება უნდა ჰქონდეს უფრო დიდ ერებს, როგორც არიან მალოროსები (25 მილიონი) ან პოლონელები (10 მილ.) და პატარებსაც, იმათ, რომელთაც რუსეთთან შეერთების ისტორიული საბუთები აქვთ, და იმათაც რომელთაც ასეთი საბუთები არ მოეპოვებოთ, განვითარებულ და განუვითარებელ, კულტურულად ჩამორჩენილ ერებსაც.

ზოგიერთი აცხადებს, ეროვნული ავტონომია მხოლოდ იმ ერებს უნდა მიენიჭოს, რომელნიც ამ ავტონომიის იდეას მედრად იცავენო. მაგრამ ეს შეცდომა არის! განა ჩვენ სწავლებას მხოლოდ მაშინ უნდა ვუწამლოთ, როდესაც იგი გიიზარდა და უკვე საშიში გახდა. ასე ხომ რუსეთის თვითმპყრობელობაც ფიქრობდა, სანამ ხალხი მედრად არ მოითხოვს პოლიტიკურ თავისუფლებას, მეც არაფერს არ მივანიჭებო. რიანი განსხვავდება ამ თვითმპყრობელობისაგან ის პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც აცხადებს, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია მხოლოდ იმ ერს მივანიჭოთ, რომელიც აცხადებს ამის სურვილს და რომელიც ამ ავტონომიისთვის იბრძვისო. ასეთი ორქოფობა არ ვარგა. ამჟამად და გარკვევით უნდა დავადგეთ რომელიმე გზას. ან ეროვნული თვითგამორკვევა შევინებოთ და არა სასურველ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ და მაშინ ავტონომიასაც უნდა ვეწინააღმდეგოთ, უნდა დავსაქსოთ სხვა და სხვა ეროვნება, მათ საერთო ეროვნული ტაქტიკა არ მივადებინოთ და ეროვნულ პრინციპის განხორციელება ცალკეალები მოვათხოვინოთ რომ ამნაირად, რაც შეიძლება, ნაკლები ავტონომია მივანიჭოთ მათ.

ან ავტონომიური წყობილება, ეროვნულ ტერიტორიათა ფართო თვითმართველობა აუცილებლად უნდა ჩავთვალოთ მრავალ ერებისაგან შემდგარ რუსეთის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისთვის,—და მაშინ ასეთი წყობილება ჩვენ თვითონ უნდა შემოვიღოთ ყველგან და საამისოდ არ უნდა ვუცადოთ ეროვნულ აჯანყებას და ხალხის პლებისციტს.

ეროვნულ ტერიტორიული ავტონომია მომავალ სახელმწიფო წყობილებას საფუძვლად უნდა დაედოს და უნდა თვითმმართველ ერთეულს, რაც შეიძლება, მეტი უფლება უნდა ჰქონდეს შინიკებულის. ძველი წყობილება ცდილობდა სახელმწიფოს მთლიანობა ძალადობაზე აეგო, ახალმა წყობილებამ თავისუფლებაზე უნდა ააგოს იგივე მთლიანობა და მთლიან სახელმწიფოში, რაც შეიძლება, მეტი უფლება მიანიჭოს ყოველ ეროვნებას. საამისოდ კი საჭიროა სწორ გზას მივაგნოთ და ხალხს ენერჯია ეროვნულ ბრძოლაზე არ დავახარჯვინოთ.

ამას უნდა ცდილობდეს ყოველი ადამიანი და ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიც ეროვნულ შოვინიზმით გაუღმთილი არ არის, ყოველი პარტია, რომელსაც არ ეშინია აღიაროს საჯაროდ, რომ დღეს რუსეთში რუს და არა რუს ხალხის მდგომარეობა თანასწორი არ არის, რომ დღეს არა რუს ერებს სწავრავენ პოლიტიკურად და ეროვნულად, რუსებს კი მხოლოდ პოლიტიკურად, რომ ასეთ დაჩაგვრის მოსაპოვებლად არა რუსებს სხვა გვარი გრძნობა და გატაცება სჭირია, ვიდრე რუსებს, რომ შემდგეში ასეთ მდგომარეობის მოსაპოვებლად ერთად ერთი გზა არის,—იქ, სადაც ეროვნებას მთლიანი ტერიტორია უჭირავს, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია.

პ. გ.—ლი.

**პატარა შიძრება**

ისევ უნდა დავებრუნდეთ ს.დემოკრატებსა და ანარქისტებს შორის აღძრულ კინკლაობას, რადგან ეს კინკლაობა ერთის მხრივ ჩვენი კულტურულ მომზადებისა და სოციალ-პოლიტიკურ ცნობიერების დამახასიათებელია. როგორც იცით, „ლამპარმა“ ანარქისტებს ავაზაკობა დასწამა. „მუშა“ შესაფერი პასუხი გასცა, ბრალდებას ბრალდება მიუმატა და „ლამპარს“ უკანვე გაუგზავნა. ორივენი ილანძღებოდნენ, იმუქრებოდნენ, ერთმანეთს მუშტებს უღერდნენ, ტალახში სვრიდნენ და ორივენი რაღაცას აპირებდნენ. ბოლოს „ლამპარმა“ ველარ გაუძლო ერთი მუქა ანარქისტების იერიშს და ბრძოლის ასპარეზზე სათადარიგო ჯარი გამოიყვანა. ქალაქებში და დაბებში სოც.—დემოკრატების აგენტები დადიოდნენ და თავიანთ წევრებს პროტესტის წერილებზე ხელს აწერიებდნენ. „ლამპარის“ რედაქციას აღუარებელი წერილები მოაწყდა მრავალ მუშების ხელის მოწერიით. ერთ საპროტესტო წერილს ხელს აწერს 417 მუშა, მეორეს—221 კაცი, მესამეს—200, მეოთხეს—300, მეხუთეს—125, მეექვსეზე „სხვაგან ყოფნის გამო ყველა მუშებს ვერ მოუწერიათ ხელი“ და მხოლოდ 33 კაცი აცხადებს პროტესტს (სხვებიც რომ დაბრუნდებიან, ამ რიცხვს ერთი ან ორი ნოლი მიანც მიემატება) და სხ. და სხ.

მაგრამ ეს არაფერია. პროტესტის გამოცხადება ყველას შეუძლიან, ეს მათ ხელუხლებელ უფლებას შეადგენს, მაგრამ საპროტესტო წერილებში არის ისეთი ულტიმატუმი, რომელიც საესებით გამოხატავს მის წარმომადგენელთა განცხადებულ განვითარებას. „ტფილისის მოსამსახურეთა კიეშორის ბიურო მოითხოვს გაზ.“ „მუშის“ რედაქტორისაგან დაუყოვნებლივ გამოუცვალოს სახელი თავის გაზეთს, რადგანაც ხსენებული გაზეთი მუშათა და მათ ხელმძღვანელს ლ. დ. მ. პარტიის მტრად და ცილისმწამებლად მიანჩნია“. ხელს აწერს „ტფილისის მოსამსახურეთა ბიურო“. შუაბაზრის მუშები და ხელოსნებიც ზიზღს უცხადებენ გაზეთ „მუშას“ და წინადადებას აძლევენ „მუშის სახელით აღარ გამოდიო-

დეს. „ტფილისის სოც. დემოკრატი მუშებიც“ მიემხრენ შუაბაზრის ხელოსნების დადგენილებას და ბრძანებას აძლევენ „მუშის“ რედაქტორს, მუშის „სახელი ნოაშოროს თავის ორგანოს“, რადგან... ეს სახელი სოც. დემოკრატი მუშებს „ჩირქსა სცხებში!“ „სოლოლაკში მკვთავრები მუშები და მოსწავლე ახალგაზღობაც“ ურჩევენ „მუშის“ რედაქციას „შესაფერი სახელი მოუქმბნოს გაზეთს, რადგან იგი ღირსი არაა მუშის სახელის“.

„ლაშპარი“ ბევრი ასეთი ულტრატივმა და დადგენილება დაბეჭდილი. ამ ქალაქებზე ძალიან ბევრ „მუშას“, მოსწავლე ახალგაზღობას და ბევრ „კაკს“ უწერია ხელი და კიდევ ბევრი მოაწერს. ტფილისის მოსამსახურეთა ბიუროს ერთ მშვენიერ დღეს აღმოუჩინა, რომ ანარქისტები მუშების მტრები არიან. ასეთ უვიცობის გამოჩენა შეუძლიან მხოლოდ ბიუროს, რომელიც დიდიდან საღამომდის უადვილო მოსამსახურეებს ადგილებს უძებნის, მაგრამ ამაზე უარესი ის არის, რომ ბიუროს აზრით მუშები და სოც დემ პარტია განუყოფელ ერთეულს შეადგენენ. მე ანარქისტების დაცვას არ ვაპირებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ბიუროსი, მოსწავლე ახალგაზღობისა და მუშების უვიცობა მოსალოდნელ საზღვარს გადასცილდა სწორედ იმ დღეს, როცა მათ გამოაცხადეს, რომ ანარქისტები მუშების მტრები არიან.

მოსალოდნელ საზღვარს გადასცილდა მათი სიყვარული ბატონობისადმი და ბრძანებლობისადმი. მწერლობამ ძლივს მოიშორა ცენზურა, ძლივს ამოისუნთქა თავისუფლად, მაგრამ ცენზორის როლი ნებაყოფლობით იკისრეს მუშებმა, ხელოსნებმა და მოსწავლე ახალგაზღვრებმა. მის. დიასამიძეს გუბერნატორმა ნება მისცა გაზეთისთვის „მუშა“ დაერქმია, მუშები და მოსწავლე ახალგაზღვრები კი ბრძანებას აძლევენ, სათაური გამოუცვარე, რადგან ეგ სახელი ჩვენ ჩირქსა გვცხებსო!“ „მოსკ. ვედ“-მა, გოროდცევა, კრუშევანმა და გრინგმუტმა პატრიოტობა თავის მონოპოლიად გამოაცხადეს, ტფილისში კი მოსამსახურეთა ბიურომ და სხვა პროტესტანტებმა მუშები სოც.-დემოკრატიულ პარტიას მიართვეს საკუთრებად, მონოპოლიად და ძალიან უფოთავენ იმის გამო, რომ ვიღაც ანარქისტებიც ეპოტინებიან მუშათა ინტერესების დაცვას და იმდენად თავხედებიც არიან, რომ თავიანთ გაზეთს სახელიად „მუშას“ არქმევენ!

აი, ასეთი ხალხი გვირდება ჩვენ სრულ თავისუფლებას, ქვეყნიურ სამოთხეს, თანასწორობას და ერთობას. სასაცილოა, როცა მონები მონებს უსაყვედურებენ, როცა მძინარე მძინარეს აღვიძებს და მკვდარი მკვდარს მკვდრეთით აღდგენას უპირობებს!

\* \* \*

კიდევ ბევრი რამ არის სასაცილო საზოგადოდ ამ ქვეყნად და კერძოდ-სოც. დემოკრატების ბანაკში.

ოდესღაც ტფილისში ალექსანდრეს ბაღის გვერდით ვინმე ი. იმედაშვილი პატარა ღუქანში პაწაწინა წიგნებით ვაჭრობდა. იმედაშვილს ვაჭრობის ღმერთმა მერკურიმ ზურგი შეაქცია და იმედაშვილმაც გასცა პასუხი: წიგნების სავაჭრო დაკეტა, სოფელ ხაშში გადასახლდა და გულზე მამასახლისის ჯაჭვი ჩამოიკიდა. იმედაშვილი სოც.-დემოკრატი იყო, ტფილისში ამ პარტიაში ირიცხებოდა და პარტიამაც ის თავის ნამესტნიკად დანიშნა ხაშში. სოც.-დემოკრატმა მამასახლისმა მალე დიდი ნდობა მოიპოვა იმ ხეობაში და მთელი გარეთ კახეთი სოც.-დემოკრატიის იმპერიას შეუერთა. დადგა არჩევნების დღე. ყველა პარტიებმა თავთავიანთი კანდი-

დატები წამოაყენეს. არჩევნებზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ერთი მხრით სოც.-დემოკრატების კანდიდატებმა [სახელი] შვილი, მამულოვი და წერეთელი, მეორე მხრით ფედერალისტების კანდიდატი ი. ბარათაშვილი. იმედაშვილიც ამომრჩეველი იყო და პარტიულ წესდების ძალით (არ ვიცი, რომელ მუხლში და რომელ პარაგრაფში სწერია ეს მოვალეობა) სოც.-დემოკრატების კანდიდატისთვის უნდა მიეცა კენჭი. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ იმედაშვილმა ბარათაშვილი არჩია სოც.-დემოკრატების კანდიდატებს, კენჭი ბარათაშვილს მისცა და მით გამარჯვება არგუნა „ბურჟუა“ სოც. ფედერალისტებს.

მთელი ქვეყანა დაიქცა, მეორედ მოსვლის დღე მოახლოვდა, პროლეტარიატი დაიღუპა და მარქსის მცნებანი შელახულ იქნა! იმ დამსვე ტფილისის სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ სამხედრო სამართალში მისცა მოდელატი. სამხედრო პროკურორად დანიშნა ის. რამიშვილი, რომელმაც გამოაცხადა, რომ კავკასიაში ახალი გაზონი გაჩნდა. სასამართლომ სასტიკი განაჩენი გამოუტანა ი. იმედაშვილს; მოალატი იმედაშვილს შუბლზე მიეკრას იუდას იარაღი და გამოირიცხულ ქმნას პარტიიდან (აღბად უმუნდიროდ და უპენსიოდ).

განკიცხული იმედაშვილი თავის სამამასახლოსში დაბრუნდა, მაგრამ „იუდას“ თან დაჰყვებოდა თავის ჩრდილი, რომელმაც იგი არც თავის საზანსახლოსში მოაღწენა. სასაცილო ამბავი სწორედ აქ იწყება. იმედაშვილს ხაშში დახვეტფილისის სოც.-დემოკრ. ორგანიზაციის შიკრიკი, რომელმაც სოფლის ყრილობაზე „ითხოვა სიტყვა და წაიკითხა ის გაზეთი, რომელშიაც ი. იმედაშვილის იუდად მონათვლასაც კი ნანობდენ და გადასცა ხალხს ორგანიზაციის დავალებით (გესმით! ორგანიზაციის დავალებით!) შემდეგი ამბავი: როგორც გაზეთიდან გაიგეთ, ი. იმედაშვილს რ. ს. დ. მ. პ. ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, და რადგანაც ჩვენ, საგუბერნიო ამომრჩეველები, ხუთის წლითა ვყოფილვართ ამორჩეულები, ამისათვის უნდა მგის ალაგას ამოვირჩიოთ (სმენა იყოს, სმენა!) ნამდვილი სოციალ-დემოკრატი და არა ისეთი ს. დ., როგორც ბ. ი. იმედაშვილი გამოდგა.“ დასასრულ შიკრიკმა ასეთი სიტყვებით მიმართა გლეხებს: „და, აი, ამხანაგებო, მოგმართავთ იმათ, ვისაც გწამთ და მხარს უჭერთ რ. ს. დ. მ. პარტიას, ამოირჩიეთ ეხლავე რამდენიმე კაცი, ჩამოართვით წესიერი ანგარიში ამ თქვენს მამასახლისს და შემდეგ თქვენც იმათთან ერთად გამოუცხადეთ ზიზღი და ბოიკოტი“ დასკვნა: „ხალხს ძალიან მოეწონა ეს აზრი, ამოირჩიეს მამინევე ხუთი კაცი მოანგარიშეთ და დაადგინეს განაჩენი“ („ლაშპარი“ № 39 კორესპ. ხაშმიდან).

ცოცა შორიდან დავიწყეთ. ვინ არის და რა თანამდებობას ასრულებს ეხლანდელ სახელმწიფოში მამასახლისი? მამასახლისი არის მთავრობის, ბიუროკრატიის აგენტი სოფელში. მისი უმთავრესი მოვალეობა გახლავთ—უმთავრეს შემთხვევაში „სტრაჟნიკებისა“ და კახაკების დახმარებით—სახელმწიფო ხარჯი აკრიბოს სოფელში, შეუძლებელ გლეხებს საქონელი წაართვას, დააგირავოს, გაყიდოს და შეკრებილი ფული ხაზინას ჩაბაროს ჯარის შესანახად. ზარბაზნების საყიდლად და დურნოვო-ვიტტეს დასასაჩუქრებლად. სოც.-დემოკრატი მამასახლისი იოსებ იმედაშვილი დღემდის ამ თანამდებობას ასრულებდა, მაგრამ მას შემდეგ, როცა მან საარჩევნო კენჭი ფედერალისტს მისცა, სოციალ-დემოკრატიის ცენტრმა თავის აგენტი გაგზავნა ხაშში და თან ასეთი ცირკულიარი გაატანა:



„რადგან ჩვენ, საგუბერნიო ამომრჩევლები (სოც. დემ.) ხუ-  
თის წლითა ვყოფილვართ ამომრჩეულები, ამისათვის უნდა  
ძაგის ალაგას ამოვირჩიოთ ნამდვილი სოც. დემ., და არა  
ისეთი სოციალ-დემოკრატი როგორც ბ. ი. იმედაშვილი  
გამოაღა.“

ნუ გაგეცინებათ. შეგნებული სოციალისტები ტფილისი-  
დან უთვლიან გლეხებს, თქვენი მამასახლისი სოციალისტი  
არ არის და გთხოვთ ნამდვილი სოციალისტი ამოირჩიოთ!  
მერე ასეთი სოციალისტები ბედავენ და სხვას უკიჟინებენ  
უპრინციპობას, ბურჟუაზიის სამსახურს და სოციალიზმის შე-  
ლახვას! მე მარქსისტი არა ვარ, მაგრამ მტკიცე პროტესტს  
ვაცხადებ სოციალიზმის შეურაცხყოფის გამო! ეს ფაქტი ჩვენ-  
ებურმა სოციალ-დემოკრატებმა ცხვირზე უნდა დაიქლიონ  
და შემდეგში აღარ გაბედონ მილიერანისტების კიცხვა. ეს  
ერთი.

მეორე: სოც.-დემოკრატებმა კენჭის გულისთვის თავს  
ლაფი გადაასხეს, ღრმად შეურაცხვეს და თავი მოსჭრეს გუ-  
შინდელ თავიანთ ამხანაგს. ნეტა ვიცოდეთ, რამელ და სა-  
დაურ თავისუფლებასე ლაპარაკობენ ხოლმე ჩვენი სოც.-დემ-  
ოკრატები? იმედაშვილმა ბართაშვილი და სოც.-დემოკრა-  
ტების კანდიდატები ერთმანეთს შეადარა და უპირატესობა  
ბართაშვილს მისცა. რომელი ბუშმენური ლოლიკა გამოიყ-  
ვანს აქედან იმ დასკვნას, რომ იმედაშვილმა პროლეტარიატს  
უღალატა და ამიტომ მას იუდას იარლიკი უნდა მივაკრათ  
შუბლზე და გულოდან მამასახლისის ჯაჭვი ავაგლიჯოთ!  
სად არის აქ პიროვნებისა და ამომრჩევლის თავისუფლება?  
არა, აქ ჩვეულებრივი ტირანია გაბლავთ და არა თავისუფ-  
ლება პიროვნებისა და სინდისისა. დემოკრატია თავგამოდე-  
ბით თხოულობს, რომ არჩევნებზე არავინ არ იქონიოს გავ-  
ლენა და ამავე დროს თვითონ ათასფუთიან ბორკილებს ადე-  
ბს კისერზე. აბა, გაბედეთ და მოიშორეთ ეს ბორკილი, გა-  
ბედეთ და აზრის თავისუფლება მოითხოვეთ! ვერა, ვერ გა-  
ბედავთ, რადგან იქვე, თქვენ გვარდით პარტიის ჯალათი  
დგას, რომელსაც ხელში დამზადებული იარლიკი უჭირავს ასეთ  
საშინელ წარწერით: „იუდა ისკარიოტელი და ქვეყნის მო-  
ღალატე!“

\* \*

იუდა ისკარიოტელი და ქვეყნის მოღალატე! მე დიდის  
სიამოვნებით მივაკრავდი ამ იარლიკს ზოგიერთებს ბრწყინ-  
ვალე შუბლზე, მაგრამ არ მინდა დავემზავსო იმ სოც.-დემო-  
კრატებს, რომლებსაც ეს არის ეხლა გამოვუცხადე საყვე-  
დური ადამიანისა და პიროვნების აბუჩად აგდებისთვის  
სრულიად უმიზეზოდ. მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ და ამ  
ფაქტს ხალხს გადავცემ მსჯავრის დასადებად. საიმისო არა  
მომხდარა რა. ამას წინად ქართველმა თავდაზნაურობამ  
ხმის უმეტესობით დაადგინა მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს  
სახელმწიფო სათათბიროს და მოაგონოს რუსეთს, რომ საქა-  
რთველოს სრული უფლება აქვს, ავტონომია მიიღოს. ეს და-  
დგენილება კრების ოქმებში ჩაიტანეს და დამსწრე თავდა-  
ზნაურობას მოსთხოვეს, ოქმზე ხელი მოეწერათ. 16-მა თავდა-  
ზნაურმა კერძო აზრი შეიტანა ოქმში. „არ თანაუფრძნობ  
ღრმად აღშფოთებული ვარ ასეთი დეპეშით. პროტესტს ვა-  
ცხადებ მთელი ჩემი არსებით.“ ასე სწერს თავადი გიორგი  
ილიას ძე ჯამბაკურ— ორბელიანი. სხვები სწერენ: „ხელ-  
მწიფის მოწყალე მილოცვაზე სახელმწიფო სათათბირომ მის  
იმპერატორობით უდიდებულესობას თავებდურ ადრესის მირ-  
თმევით გასცა პასუხიო,“ სათათბირო „ანარქიას ხელს უწყო-

ბს.“ თავდაზნაურობა „ყოველთვის ბურჯი იყო ჩემის ტე-  
ხტისა“ და სხ.

მე ათასჯერ ვიმეორებ თავ. ორბელიანის სიტყვებს:  
„ღრმად აღშფოთებული ვარ! პროტესტს ვაცხადებ მთელი  
ჩემი არსებით!“ მაგრამ... ვის უნდა გამოვუცხადო პროტესტი?  
ან რათა ვარ აღშფოთებული? რა არის საკვირველი, მოუ-  
ლოდნელი და აღსაშფოთებელი იმაში, რომ რუსეთის არმიის  
რამდენიმე გენერალმა პროტესტი განაცხადა ავტონომიის  
წინააღმდეგ? გადაათვალიერეთ საქართველოს ისტორია და  
ნახავთ, რომ უწინაც ბევრ ქართველ თავდასაღი მეფეს მი-  
უტოვებიათ თავიანთი სამშობლო, მისულან თეირანში, მო-  
ნათლულან მაჰმადის რჯულზე, ჩაუცვამთ სპარსული ტანისა-  
მოსი, გამოძღოლიან სპარსეთის ჯარს, აუოხრებიათ თავიან-  
თი სამშობლო და ჯილდოდ მიუღიათ შაჰის ქაშები და კრია-  
ლოსანი. ასეთი ხალხი არც ეხლა გამოლეთულა დი არც თუ  
როდისმე გამოილეთა. ა—ლო.

\* \*

(ვეინგრუდიანს)

გაზაფხულის სიომ დაჰკრა,  
ველში ია გაიშალა  
და მოფრინდა მერცხალიცა  
მალხაზი და კუდ-ბოძალა.

ბევრი უცხო მოგზაური  
შორის ქვეყნით დღეს გვეწვია,  
ზოგი უსტვენს საამურად,  
გაიძახის „ტია-ტია!“

მე ყოველ წელს იმათ მოსვლას  
სიხარულით ვეგებები  
და თან და თან მიახლდება  
მით ცხოვრების იმედები.

ჰა, გამოჩნდა აგერ ცაში  
წეროების დიდი კრება!  
რაო, ვითომ, რომ ყოველ წლივ  
იგი ჩვენ კენ ეშურება?

ალბად უყვირთ ჩემსავითა  
ჩრდილოეთის ეს ქვეყანა,  
რადგან მათთვის სამშობლოა,  
ურწევია მათთვის ნანა.

შარშან როცა მიფრინავდა  
ჩრდილო-სამხრის მოციქული,  
დაუბარე, კვლავ გვეწვია,  
როცა დადგეს გაზაფხული.

ჟამი დადგა გამარჯვების;  
მობრუნდები შენ კვლავ როცა,  
თავისუფლად შემოგხვდებით  
მე და ჩემი სამშობლოცა!...

დღეს კვლავ დაჰკრა გაზაფხულმა,  
მაგრამ კენესის ჩემი გული:

ვიცი, ცუდად შემომხედავს  
მე სამხრეთის მოციქული.

მაგრამ იგი, ბედნიერი,  
სიოქენც უნდა, იქ გაჰკრავს ფრთებს,  
გულის ტყენით მიატოვებს  
ჩვენს საყვარელ ქალა-მინდვრებს,

რადგან სისხლით მორწყულია  
დღეს სამშობლოს არე-მარე,  
ყოველ ფეხის გადადგმაზე  
საფლავია და სამარე!..

ნახავს იგი, თუ მტარვალმა  
სამშობლო ვით დაგვიმცირა,  
უკეთესი ქვეყნის შვილნი  
ზვიარაკ-მსხვერპლად შეიწირა.

დიად, ნახავ, შეგობარო,  
და სხვა მხრისკენ გაიჩქარე:  
შენ იქაც გაქვს, მე კი მრჩება  
აქ სამშობლო ნოხარე!..

საპრობილე, ბორკილები  
იღარ ჰყოფნით დღეს უნგრელებს,  
ცისმარა დღე ასაღმებენ  
მათ სამშობლოს მინდორ-ველებს.

ასახე ებენ შორს ქვეყნებში,  
და შენც, წეროვ, მიდი, ნახე,  
იცნობ მით, რომ მათ ექნებათ  
დაღარული სევდით სახე!

მათ უამბე ჩვენი რისხვა,  
სიბრაზე და გულნადები,  
რომ მზადა ვარ მტარვალს ვუზღოთ,  
გადვუხადოთ თანადები!

რომ დედები, ქალწულები  
მონასტრებში ცრემლებს ღვრიან.  
და მოხუცნი, ამ დროს მომსწრე,  
საიქოს შენატრიან!..

მხოლოდ არ სთქვა და ეს გულში  
შეინახე, ჩაიხატე,  
რომ ბევრი ყავს მათ სამშობლოს  
გამცემი და მოღალატე!

რომ ბევრია მხდალი, მონა,  
ან გულ-ცივი საზიზღარი,  
არად უჩანს, რომ სამშობლოს  
ლევას სისხლის ნიაღვარი!

გაფიცებ, რომ ეგ არა სოქვა  
ჩვენს მხარეზე, ამ ბედკრულზე  
და ამითი არ დასვა  
უარესი წყლული გულზე!..

დ. თამაშვილი

ახალი პარტია სათათბიროში.

ქართული

მთელი რუსეთი გაფაციცებით თვალ-ყურს უდევს ქართულ სათათბიროს, რადგანაც იქ, ხალხს წარმომადგენელთა სიტყვებსა და მოქმედებაში სჩანს ხალხის გულის თქმა, და, ვისაც უნდა გაიგოს, თუ რას ფიქრობს ან საითკენ მიისწრაფვის ხალხის სხვა და სხვა ნაწილი, — სათათბიროს წვერთა ლაპარაკს უნდა ჩაუყვირდეს.

ამ მხრივ მეტად საინტერესო და საგულისხმო სათათბიროს შემარცხენეთა, ე. წ. მშრომელთა ჯგუფის მოქმედება და მისწრაფება. თქმა არ უნდა, რომ ეს ჯგუფი სოფლის ხალხთან უფრო ახლო სდგას, ვიდრე სათათბიროში მოქმედი სხვა პარტიები, და ამიტომ ცხადია, რომ ამ მშრომელ ჯგუფის ნალაპარაკევიც მეტის სისწორით გამოხატავს რუსეთში სოფელელების სურვილს, ვიდრე ქალაქ ადგილებში შექმნილი და ქალაქ ადგილებში მცხოვრებთა იდეალების გამომხატველი სხვა პარტიები.

ზოგიერთს ეგონა, რომ მშრომელთა ჯგუფი, ან მისი ნაწილი გლეხობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას მიეყვლებოდა, ზოგიერთები ხომ კავკასიელ ამხანაგების პეტერბურგში ჩასვლას სწორედ ამ მნიშვნელობას აძლევდნენ. მაგრამ ახლა განოიკვა, რომ „მშრომელთა“ ნაწილმა თავისი საკუთარი პროგრამა შეიმუშავა, რომელიც მეტად რადიკალურია, მაგრამ სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამიდან არის გადმოღებული და არა სოციალ-დემოკრატიულიდან.

აი, ამ პროგრამის დედა აზრებია:

პირად უფლებებში ახალმა პარტიამ უნდა მოითხოვოს ყველა ის პოლიტიკური უფლება, რომელიც ძირითად უფლებებზედ ითვლება (სხვა და სხვა თავისუფლება, სიტყვის, კრებების და სხვა).

პარტია ჯერ-ჯერობით სახელმწიფო წყობილების არც ერთ ფორმას არ ემხრობა, მხოლოდ მოითხოვს კი, რომ სახელმწიფოში ერთი პალატა იყოს და რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება იყოს შემოღებული.

პარტია მოითხოვს თვითმართველობის პრინციპის გაფართოვებას. სადაც ხალხი მოითხოვს, უნდა იყოს შემოღებული ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ან საოლქო ავტონომია თავის ადგილობრივ საკანონდებლო სფეროში.

ჯარში სამსახურის ვადა უნდა შემცირდეს. სამსახური თავის საცხოვრებელ ადგილს ახლოს უნდა გადაიხადოს ადამიანმა. სამხედრო პირთ ყველა სამოქალაქო უფლება უნდა მიენიქოს, აფიცრებს უნდა აეკრძალოს სამსახურს გარეთ ფორმის ტარება.

აგარაულ საკითხში პარტია სოციალისტ რევოლუციონერების პროგრამას იღებს; უნდა შემოღებულ იქნეს საუკეთესო მიწებზე განსაკუთრებული სარენტო გადასახადი. მიწა თუ დაუბრუნდა ფონდს, ყველა ის გაუმჯობესებისთვის, რომლითაც პატრონმა ვერ ისარგებლა, მას სასყიდელს მისცემენ. სოფლად კოლპეჩიკი და მიწის საერთო მფლობელობა უნდა შემოიღონ.

მუშათა საკითხში შრომის მფარველობა და მომავალ სოციალისტურ წყობილებისთვის ნიადაგის მომზადება. კანონით უნდა იყოს დაწესებული სამუშაო დღის მაქსიმუმად 8 საათი, — ევროპაში არა უმეტეს 18 საათისა. სახელმწიფოსგან მუშების დაზღვევა.

ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსგან და შკოლისაგან. მუქტი სწავლება ყველასთვის. საერთაშორისო საქმეებში სხვების დასამონებელ პოლიტიკის მოსპობა. იარაღის აყრა, ყოველი დავის საერთაშორისო სასამართლოში გარჩევა.





ეს აღნიშნული დედა აზრები პარტიას აქვს მხოლოდ ახლო მომავლისათვის. შემდეგ, პირობების შეცვლის მიხედვით, უნდა შეიცვალოს ამ პარტიას პროგრამაც. მიხანი, რამელსაც ისახავს პარტია, არის „ყველა ადამიანისთვის თავისუფალ ცხოვრების და ყოველმხრივ განვითარების უზრუნველყოფა“.

აღნიშნულ პროგრამით, შეიძლება, მტკიცე და ძლიერი პარტია არ შესდგეს, ეს მხოლოდ სამოქმედო პროგრამა არის, ცხოვრების ახლანდელ ვითარებით გამოწვეული. მაგრამ, როგორც ზევით აღნიშნეთ, საგულისხმოა და მეტად მნიშვნელოვანი აქ ის გარეობება, რომ მშრომელთა ჯგუფის წევრები, რომელნიც რუსეთის გლეხთა წარმომადგენელი არიან, სოციალდემოკრატიულ პარტიას პროგრამას უარყოფენ და თავი საკუთარ პროგრამას აკეცივენ.

და რაკი თვით ჩვენებური სოციალ-დემოკრატები აცხადებენ, რომ გამარჯვებული დარჩება ის პარტია, რომელიც სოფლის ხალხის სურვილებს გამოიძინებს და მათ განხორციელებას იკისრებს, ამიტომ ცხადია, რომ ამ ზემოთ აღნიშნულ პროგრამის განხორციელებას ხელს შეუწყობს ის პარტია, რომელსაც გამარჯვება სწყურია. აღნიშნული პროგრამა რუსეთის გლეხთა სურვილია.

ქ. ს.

### სათათბირო და საერთო გაფიცვა

ვისაც ახლავს, როგორც ერთსულოვანი მიეგება ხალხი ოქტომბრის გაფიცვას, რომელმაც 17 ოქტომბრის ცნობილი მანიფესტი გამოიწვია, იმან იცის, თუ როგორი, ყველაფრის დამმონებელი ძალა აქვს ხალხის ყველა ნაწილისაგან რისიმე საერთოდ მოთხოვნას. ბურჟუა და პროლეტარი, მემარცხენე და ზომიერი წრეები, ყველა თანასწორად გრძნობდა, რომ რუსეთში გაბატონებული ბიუროკრატია ხალხის სურვილების განხორციელებას ეწინააღმდეგება და „ნებით“ ხალხს ადარაფერს დაუთმობს, ყველა ხედავდა, რომ ის „სათათბირო“, რომელიც მ აგვისტოს მანიფესტის ძალით უნდა მოწვეულიყო და რომელშიაც ხალხის უმცირეს ნაწილისაგან არჩეულ წარმომადგენლებსაც კი სახელმწიფოს საქმეებში გადამწყვეტი ხმა არ ეძლეოდა, — ხალხის მრავალგვარ საჭიროების დაკმაყოფილებას ვერ მოახერხებდა, ყველა იყო დარწმუნებული, რომ რუსეთ-იპონიის ომში დამარცხებული, ხალხის გამყვლეფი, ხალხის დამონებაზე საკუთარ ბატონობის აღმაშენებელი ბიუროკრატია შემდეგშიც თავის უპირატესობას და უფლებას ხალხის საკეთილდღეოდ არ გამოიყენებდა, და, რაკი ბრძოლის ყოველი სხვა საშუალება დახშული იყო, ამიტომ ყველამ მხარი მისცა საერთო გაფიცვას, რომელსაც მთავრობისთვის უნდა ეჩვენებინა ხალხის საერთო სურვილი და რომელმაც, მართლაც, ისე დააშინა მთავრობა, რომ 17 ოქტომბერს უკვე გამოიცა მანიფესტი სხვა და სხვა ძირითად უფლებების შესახებ, მანიფესტი, რომელიც შემდეგ მთელ განმათავისუფლებელ ბრძოლას რუსეთში საფუძვლად დაედო.

ეს იყო ხალხის საერთო მოქმედების პირველი გამარჯვება. ამ გამარჯვებას უნდა ეჩვენებინა ყველასთვის, რომ მთავრობის მოწესრიგებულ ძალებთან ბრძოლას ხალხის ერთსულოვნება სჭირია. რომ ხალხის საერთო მოთხოვნას წინ ვერ აღუდგება მთავრობის მხედრობა, რომ შემდეგშიც ამ გზა უნდა დასდგომოდა ყველა ის ადამიანი, რომელიც რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში რამე აქტივ მონაწილეობას იღებდა და ვისაც გულით უნდოდა ხალხის განთავისუფლება.

საუბედუროდ, ოქტომბრის გაკვეთილმა ფუქად ჩაიარა ზოგიერთებისათვის. სოციალ დემოკრატების პარტიამ რომელიც ოქტომბერშივე დიდი ღვაწლი მიუძღვის, იფიქრა, რომ მას სხვა პარტიების და საზოგადოების სხვა ჯგუფების დახმარება აღარ სჭირია და საკუთარ ძალ-ღონით შეუძლია ბრძოლის გაგრძობა და რუსეთში რევოლუციის ბოლომდის მიყვანა. ზოგიერთს თავის პარტიის ძლიერება იმდენად ვაზვიდებულად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ სოციალურ რევოლუციასზე ლაპარაკსაც არ უშინდებოდა. „ძირს ბურჟუაზია! გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას!“ ამას იძახდნენ თვით პარტიის მეთაურებიც, რომელთაც უნდა სცოდნოდათ, რომ ძირს ასე ადვილად ვერ დაეშვებოდა ის კლასი, რომელიც ახლანდელ მოძრაობაში შესამჩნევ ძალას წაიშობადგენს და რომელსაც უნდა ხედეს ამ რევოლუციის ნაყოფი.

მართლაც, დეკემბერში სოციალ. დემოკრატიულმა წრეებმა ახალი საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. ახლა ამ გაფიცვას მთავრობის პროვოკაციას აწერენ, მაგრამ არავითარ პროვოკაციას არა აქვს ძალა იქ, სადაც მისთვის შესაფერი ნიადაგი არ მოსპობება და, აი, სწორედ ამ ნიადაგს წარმოადგენდა სოციალ დემოკრატიულ წრეებისაგან საკუთარ ძალებების გაზვიადება, — ამ პროვოკაციას გამარჯვებას უქადდა სოციალ-დემოკრატების იერიში ბურჟუაზიულ წრეებზე. სოციალ-დემოკრატია დეკემბერში სხვა პარტიების გამოერთიანა, ამ პარტიის მეთაურებმა ხალხს ჩააგონეს, რომ ამ ერთ პარტიის ძალ-ღონეც საკმარისია მთავრობის და თვით ბურჟუაზიის დასამარცხებლად. ხალხი, ამის გამო, ორ ნაწილად გაიყო, ერთსულოვნობა მოძრაობას არ ეტყობოდა და.. მთავრობა გამარჯვებული დარჩა. პროლეტარიატის დიქტატურის სურვილმა ხელიდან გაშვების დიქტატურა გამოიწვია, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გაბატონებამ შექმნა ღურნოვო — ღუბასოვ — ტრეპოვების გაბატონება.

ოქტომბრის საერთო მოძრაობის შედეგი დეკემბრის დაქსაქსულობას რომ შეადაროს ადამიანმა, ცხადად გამოჩნდება ის განსხვავება, რომელიც საუკეთესო გაფრთხილებად უნდა ერგოს იმათ, ვინც წინეა ფიქრობდა, ან ახლა ფიქრობს, ვითომც ერთ რომელიმე პარტიას, თუნდ მეტად ძლიერსაც, შეეძლოს საკუთარის ძალით მთავრობის ძლიერების მოსპობა.

რამდენად ნაყოფიერი დარჩა ეს გაკვეთილი სხვა და სხვა პარტიისათვის, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. მართლაც, ამ ახლო მომავალში რუსეთს, ალბად, კიდევ ერთი საერთო გაფიცვა მოელოს. 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით მოწვეულმა სათათბირომ ჩაქმედება დაიწყო. ამ სათათბიროს ხალხი მოუთმენლად ელოდა. საზოგადოების ზომიერი ნაწილი, ყველა ის ადამიანი, რომელიც მუდამ „კანონიერებას“ დაჰქმედებს, ისინი, ვისაც მთავრობაზე ჯერ გული არ გასტეხოდათ, გულწრფელად ფიქრობდნენ, რომ ახლად მოწვეულ სათათბიროს ხელმწიფე და მასთან მისი ხელქვეითი და მის სურვილების გამომხატველი სამინისტრო თავიანთ გულს გადუშულიან და პატიოსნად ეცდებიან ახალ, ხალხისთვის საჭირო კანონების შემუშავებას, რომ კანონიერის გზით დაკმაყოფილებულიყო ხალხის ყველა ის ძირითადი საჭიროება, რომლის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება თვით სახელმწიფოს არსებობისთვისაც აუცილებელია.

მაგრამ ამის იმედი გაუტრუვა ყველას მთავრობამ. თვენახევარზე მეტია, რომ სათათბირომ მოქმედება დაიწყო და მთავრობამ ამ ხნის განმავლობაში მას არც ერთი ახალი კანონი არ წაუდგინა განსახილველად. სათათბიროს მოწვევის

დღემდის ყველა სამინისტრო და სამინისტროების ყველა კანცელარია თუ საოცარის დაუღალავობით ახალ ახალ კანონების პროექტს ამუშავებდნენ და ხელმწიფეც ამ პროექტებს კანონებად აქცევდა, — სათათბიროს მოწვევის შემდეგ ყველა ამ სამინისტროს და კანცელარიას თითქო ძილი მოარეგია, — სათათბიროს მათი შემუშავებული არც ერთი პროექტი არ დაუწახავს. მათთვის სათათბირო თითქო არც კი არსებობს.

ამაინარდ მთავრობა სათათბიროს კანონმდებელ დაწესებულებად არ სცნობს. არ სცნობს იგი მას თვალყურას მდევნელ დაწესებულებადაც. ყოველ დღე სათათბიროს წევრები სხვა და სხვა შეკითხვებს აძლევენ მინისტრებს იმ სისხლის ამღვრევე ავანაჯობის და ძალმომრეობის შესახებ, რომელიც დღეს კიდევ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში არ სწყდება, მაგრამ მინისტრებმა არც ერთ ასეთ შეკითხვაზე სათათბიროს ჯეროვანი პასუხი არ გასცეს. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შესახებ მინისტრებმა განაცხადეს. ეს დასჯა ჩვენ არ შეგვეხება და მისი შეჩერებაც არ შეგვიძლია.

და როდესაც სათათბიროს წევრები აღფრთოვანებულ სიტყვებს ამკობენ ხალხის ბედნიერებაზე, როდესაც იქ, პეტერბურგში, ხალხის წარმომადგენლები ცდილობენ ბიუროკრატის მაგარი კედლები გაანჯრიონ და ხალხს მოპოვონ მიწა და თავისუფლება. — მთავრობა თავის ძველ მოქმედებას არ იშლის და ივიწყებს, რომ მისი ძალმომრეობა წინეთ თუ უწინეო იყო, ახლა სათათბიროს მოწვევის შემდეგ, იგი უწინეოც არის და უკანონოც.

არის თუ არა ახალი კანონები გამოცემული, აქვს თუ არა ხალხის წარმომადგენლებს მართვა-გამგეობის უფლება, — ეს სულ ერთია, — საქმე ის არის, რომ იქ, პეტერბურგში, ხალხის წარმომადგენლები შეგროვებული არიან, რომ მათის პირობით თვით ხალხი ეუბნება მთავრობას, რომ რუსეთში გაბატონებული ადმინისტრაციული და სამხედრო ძალები ხალხის სურვილების წინააღმდეგ დათარეშობენ, და ეს სურვილი საკმარისი უნდა იყოს მთავრობისათვის, მისთვის ამ სურვილის შესრულება უნდა იყოს სავალდებულო...

მთავრობა კი ფეხ-ქვეშ სთელავს ხალხის სურვილებს, სათათბიროს აზრს ყურადღებას არ აქცევს და ამით ხალხს მშვიდობიანის გზით საქმის შესრულების იმედს უსპობს. ესლა ყოველი ზომერიც ხედავს, რომ არასდროს არ დაუთმობს ნებით მთავრობა ხალხს ღ თავის უსამართლო პრავილეგებზე ხელს არა იღებს, რომ არას დროს თავს არ „დამიცირებს“ და ხალხის წარმომადგენელთა გარდაწყვეტილების აღმასრულებელი არ გახდება, რომ არასოდეს არ მოსპოვს თვითპყრობელობას და სახელმწიფოში ნამდვილ საკონსტიტუტო წესწყობილებას არ შემოიღებს.

და რაკი ასეთ წესწყობილების საჭიროება ახლა ყველას თანასწორად შეგნებული აქვს, ამიტომ მოსილოდნელია, რომ ყველა თანასწორად დაუქერს მხარს იმ შემბრძოლებას, რომელსაც უთუოდ დაიწყებენ მემარცხენენი იმისთვის, რომ მთავრობას ძალით გამოგლიჯონ ის, რასაც იგი ნებით არ იძლევა.

მართლაც, რა შედეგი მოჰყვა მთავრობის ახლანდელ ქცევას? ბურჟუაზიას სული ეხუთება სამხედრო წესების შემოღებით, საერთო შიშინაობით, უწყსობით და ადმინისტრაციის თვითნებობით. მრეწველობა დაეცა, ვაჭრობას აღარავითარი სიცოცხლე აღარ ეტყობა, თავისუფალ პროფესიების ხალხი და ვაჭრობა მრეწველობაში მომუშავენიც ამის გამო ნახევრად მშვირნი არიან, უსაქმოდ დარჩენილთა უზრუნველ-

ყოფის საკითხი საუკეთესო ნიადავად გადაიქცა ძლიერ სარევილოეუციო არმიის მოსამზადებლად, სოფლის მუკაყაფილება იზრდება, მიწის და თავისუფლების მოლოდინი უცხოელებმა გლახობას, ძნელი შეიქმნა, საზოგადოდ, ცხოვრება... თვით მთავრობის ჩინოვნიკობა და მხედრობაც თანდათან მეტ უკმაყოფილებას იჩენს, კურსკის ჯარებში არეულობა და სევასტოპოლში სამხედრო აჯანყება სხვა, უფრო მნიშვნელოვან ამბების წინამორბედი არის. საერთო უკმაყოფილება მატულობს, მზადდება ნიადაგი ბრძოლისთვის, რომელიც დღეს ან ხვალ უნდა დაიწყოს ხალხმა, რომ კიდევ ერთი ბიჯი წარსდგას წინ და სახელმწიფოში გაბატონებულ წრეებს კიდევ რომელიმე პოზიცია წაართვას.

მთავრობის მოქმედება სათათბიროში აშკარად ჰქმნის ყველასთვის, რომ ვერავითარი ძალი რუსეთის ხალხს ახალ საერთო გაფიცვას ვერ ააშორებს. ეს გაფიცვა მალე მოხდება თუ არა, მოჰყვება მას შეიარაღებული აჯანყება, თუ ხალხი მთავრობის დასამარცხებლად ამ სახიფათო საშუალებას არ მიმართავს, — ამას მომავალა გვიჩვენებს და ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რანაირი ერთსულაუნება დაეტყობა ხალხს და რამდენად მომზადებული და შეკავშირებული გამოვლენ სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები საერთო მტრის დასამარცხებლად.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში უკვე შეიგნეს დეკემბრის შეცდომა და გულწრფელად აღიარებენ, რომ საერთო მტერთან ბრძოლაში ბურჟუაზია და პროლეტარი ტი ერთად უნდა მოქმედებდნენ, თვით ქართველ სოციალ-დემოკრატებში ჰკრძნობენ, თუ რამდენად უმნიშვნელოა ქალაქის მუშათა გაფიცვები იქ, სადაც სოფელი, გლახობა ამ მოძრაობას არ თანაუგრძნობს, პარტიის ზოგიერთი მწერალი იმასაც აცხადებს, რომ ყოველი პარტია, რომელსაც არსებობა და ხალხში გავლენა სწყურია, უნდა ცდილობდეს გლახების გულის თქმა გაშიშვლოს და მის განხორციელებას შეუღდეს, სხვა პარტიები ხომ თავის მხრივ არასოდეს არ იჩენდენ შეურავებლობას...

საჭიროა უფრო გულწრფელად და გაბედულად საერთო ინტერესების წამოყენება, რომ მომავალში საზოგადოების ყველა წრეები მხედ და გაბედულად შეუღდენ საერთო მოქმედებას და განზე გადგომით მოწინააღმდეგესი გამარჯვებას ნიადაგი არ მოუშალონ.

ჩვენ ყოველთვის საჭიროდ ვთვლიდით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ზოგიერთ მეთაურისთვის ვაგვეხსენებია, რომ საკუთარ, კერძო ან თუნდ პარტიულ თავმოყვარეობის გულისთვის საერთო საქმის განსაცდელში ჩაგდება არ შეიძლება, რომ შენ-ჩემობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ხალხის სისხლი იღვრება და სადაც დიდა ბრძოლას უნდა მიჰყვეს ან ხალხის განთავისუფლება ან მისი წინანდებური მონობა, — ხალხის ღალატი და ნამდვილი ბოროტმოქმედებაა.

დეკემბრის დამარცხება ჩვენი სიტყვების სიმართლის დამამტკიცებელია და უნდა ვიქნაოთ იმედი, რომ ხალხი ამავე შეცდომას არ განიმეორებს, ბრძოლის ველზე თანამებრძოლს იმის გამოკითხვას არ დაუწყებს, რომელ პარტიას ეკუთვნის იგი, და შინაურ კინკლაობაში არ დახაჯრავს იმ ძალას, რომელიც ხალხის საერთო მტრის დამარცხებას უნდა მოხმარდეს.

სტუმარი



### საქართველო, შვედეთი და მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები

(რუსულიდან.)

ყოველთაისი, როცა დაზავებული პირობებია თავის შე-  
ლახულ ბუნებრივ უფლებების დაცვას იწყებს, როცა ცხოვ-  
რების გამოცოცხლებელი ნიადაგი ძირს უთხროს აბსოლუ-  
ტურ სახელმწიფოს დედა ბოძებს, ამ სახელმწიფოსთან ისტორი-  
ულ ბედ-იღბლით მიკრულ ერთა შორისაც იწყება მძლავ-  
რი ლტოლვილება და სურვილი დამოუკიდებლობისადმი. ეს  
მოვლენა აუცილებლად თავს იჩენს ხოლმე ყოველ რევოლუ-  
ციონურ ეპოქის დროს. ყველაზე მძლავრად ეროვნულმა  
გრძნობამ იხეთქა 1848 წელს, რომელიც ნამდვილი გაზაფხუ-  
ლი იყო ერებისთვის. რენის ნაპირებიდან ოსმალეთის საზ-  
ღვრებამდის, შვეიცარიის გარდა, არ მოიძებნებოდა არც ერ-  
თი ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ხიფათი არ მისდგომოდა  
კარგებზე: არ იყო არც ერთი ეროვნება, რომელსაც არ მო-  
ეთხოვა ცოტად თუ ბევრად ფართო თვითმართველობა და  
დამოუკიდებლობა. ასეთი სურვილი სხვა და სხვა პირობე-  
ბის თანახმად შეიძლება ამა თუ იმ ფორმაში განხორციელდეს.

ავსტრიაში, სადაც ყველა ერები ერთნაირად იჩაგრებო-  
დნ მთავრობისგან, ხალხი ეროვნებათა პოლიტიკურ თავი-  
სუფლებას თხოულობდა. გერმანიაში, რომელიც იმ დროს  
დაქუცმაცებული იყო მრავალ სამმართველოებად, ხალხი გა-  
ერთიანებულ ეროვნულ სახელმწიფოსთვის იბრძოდა. ასეთი  
კავშირი პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლებისა იმით აი-  
ხსნება, რომ ორივეს ერთ მხრიდან, ერთ წყაროდან მოვლით  
ხიფათი. პოლიციური სახელმწიფო, რომელიც ინდივიდუა-  
ლურ ცხოვრების ყოველ წვრილმანშიაც კი ერევა, ხიფათს  
ხედავს ხალხის ისეთ ჯგუფებში, რომელნიც შეერთებული  
არიან ეროვნულ თითქმის ნიადაგზე. მისი თვითნებობა  
და ძალმომრეობა უღმობელად მუსკავს ყველა იმას, ვისაც  
საკუთარი აზრი და შეხედულება აქვს, და ეროვნულ დევნის  
ისტორიაც ცხადად ამტკიცებს, რომ ამ ახალმა კერპმა აუარე-  
ბელი მსხვერპლი შეიწირა. აბსოლუტურ სახელმწიფოს ის-  
ტორიაში არის ხოლმე ისეთი ხანა, როცა გამოფიტულ და  
დაუძლიერებულ წყობილებას ახალი ძალა ეძლევა: ეს არის  
ეროვნული შოვინიზმი. სიბნელე და უმეცრება, რომელიც  
საუკეთესო მეგობარი და მოკავშირეა აბსოლუტიზმისა, ამ  
შემთხვევაშიაც არ დალატობს მას. აბსოლუტიზმი შესაფერად  
სარგებლობს ხალხის უმეცრებით და ეროვნულ სეპარატიზმის  
პროპაგანდის დახმარებით თავიდან იცილებს მოწინააღმდეგეს და  
აგრძელებს თავის ბატონობას. თუ ეროვნული და დემოკრატიუ-  
ლი მისწრაფებანი შეფარდებული არ არიან ერთმანეთთან, ორი-  
ვენი ერთი მეორეს ეჯახებიან და საბოლოოდ ღუბავენ საერთო  
საქმეს. ისტორიულ მომენტის სახეებით შეუღებლობა და  
უძროოდ წინ წამოყენებული ეროვნული მისწრაფებანი მთა-  
ვარი მიზეზები იყვნენ იმისა, რომ 1848 წელს ავსტრიის მთა-  
ვრობამ აჯანყებულთა სისხლში დაახრო ხალხის თავისუფლე-  
ბა სწორედ ამით აიხსნება ის საოცარი ფაქტი, რომ ავსტ-  
რიაში კოაქციონირებდა ჯარის დახმარებით დაამარცხა აჯანყებული  
ჰუნგრელები და იტალიელები. ამიტომ საერთო ინტერესები  
მოითხოვს, რომ ჯერ უფლებრივ, პარლამენტალური წყობი-  
ლება დამყარდეს და შემდეგ მიეცეს ყველა ეროვნებას ავ-  
ტონომია. ბრძოლის დროს ეს საკითხი ყოველთვის მწვავედ  
ბა ხოლმე. ასეთ დროს ძნელი გასარჩევია, რას თხოულობს  
ნამდვილი ცხოვრება და რა არის გამოწვეული მხოლოდ სი-

ბრახით და გადაქაზებულ სიძულვილით ჩაგვრელებსა და  
კონსტიტუციონურ რეჟიმის უპირდასესი და საუკეთესო  
ყოფი არის ყველა მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინა-  
შე, რომელსაც თან მოსდევს სრული გაუქმება წოდებრივ,  
სარწმუნოებრივ და ეროვნულ უპირატესობა—დაზავებისა.  
მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვაღაზროთ, რომ ესა თუ ის ერო-  
ვნული ცრუმორწმუნოება ისე ღრმა ფესვებს იდგამს ხალხის  
შეგებაში, რომ იმის ზედგავლენით კანონით დამყარებული  
თანასწორობა ფაქტიურად უთანასწორობად გადაიქცევა ხოლ-  
მე. ასეთი მავალითები ბევრია ისტორიაში. ამერიკის კანო-  
ნის წინაშე ზანგი და თეთრ კანიანი თანასწორნი არიან, ნა-  
მდვილად კი ზანგი თეთრკანიანის ნახევარი მონა და ყურ-  
მოკრილი ყმა არის. მაგრამ, მართო თანასწორობა კანონის  
წინაშე საქმარისი არ არის. ეს მხოლოდ ლაგამია იმ ერის-  
თვის, რომელსაც მეორე ერის დაზავება უნდა. ყოველ ერს  
უნდა მიზომოს ისეთი მოედანი, სადაც მას თავისუფლად  
შეეძლება თავის ინდივიდუალობის, საკუთარ „მეს“ განვითა-  
რება. ამისთვის საჭიროა, რომ მას მიეცეს უფლება თვითა-  
მორკვევისა კულტურულ საქმეში.

იმის გასაგებად, თუ როგორ ფორმებში უნდა განხორ-  
ციელდეს ეს უფლება, საჭიროა მოკლედ მიანიც გავითვალის-  
წინოთ ბუნდოვანი სიტყვა „ეროვნება“. ხალხის ერთი ჯგუფი  
ემორჩილება სხვა და სხვა ისტორიულ და ბუნებრივ პირო-  
ბებს და ყოფა-ცხოვრებისა და ჩვეულებათა განსაკუთრებულ  
ფორმებს იჩენს. ჯამი ეროვნების სულიერ და მატერიალურ  
შემოქმედებისა შეადგენს ეროვნულ კულტურას, რომელიც  
თაობიდან თაობაზე გადადის და ჰქმნის განსაზღვრულ ერთო-  
ბის შეგებას, ეროვნულ თვითშეგებას. შინაარსი ამ კულტუ-  
რისა შეიძლება სულ სხვა და სხვანაირი იყოს. ერთი ერის  
კულტურა ცოტად თუ ბევრად შესაძნელებად განსხვავდება მე-  
ორე ერის კულტურისგან ზოგიერთ ერის შემოქმედება გამო-  
იხატა უფრო სარწმუნოებაში, — განსაკუთრებულ ეროვნულ  
ეკლესიის შექმნაში. სარწმუნოებრივ ერთობისა და ეკლესიის  
ორგანიზაციის შეგებას სხვა და სხვა პირობების ზედგავლენ-  
ით შეუძლიან ასეთი საზოგადოებრივი ჯგუფი მკიდროდ შეჭ-  
კრას ერთ მთლიან ერთეულად. სომხებმა, მიუხედავად ათასი  
წლის დევნისა, ხელუხლებლად შეინარჩუნეს თავიანთი კულტუ-  
რა მხოლოდ ეკლესიის მეოხებით, რომელიც ასეთ გაპირვე-  
ბის დროს დაუსრუტელი წყარო იყო ეროვნულ თვითშეგებისა.  
მაგრამ ეროვნული ეკლესია მიანიც იშვიათი შემთხვევაა. უფრო  
ხშირად საზოგადოების შემადგომებელ ელემენტს შეადგენს ენა.  
თუ ირლანდიელები და სამხრეთ ამერიკელები არ ვიანგარიშეთ,  
საერთო კანონად შეიძლება ვაღიაროთ, რომ ერთ ეროვნების  
ყველა წევრები ლაპარაკობენ ერთ და იმავე ენაზე, რომელიც  
სხვა ეროვნების ენისგან ცოტად თუ ბევრად განსხვავდება. აზრის  
გამოთქმის განსაკუთრებული თვისება ჰქმნის განსაკუთრებულ  
ლიტერატურას, მეცნიერებას და სულიერად აერთებს ყველას ამ  
ენაზე მოლაპარაკეს. სადაც შემადგომებელ ელემენტად ენა არ  
არის, იქ იმის მაგიერობას ეწევა საერთო ისტორიული ტრადი-  
ცია, ან ეროვნულ თავისებურობის სხვა ფორმები, მაგრამ ასეთ  
ელემენტებით შეერთებული ერთეული ისეთი ძლიერი არ  
არის, როგორც ის ერი, რომელსაც საერთო ენა აქვს. ასეთ  
საზოგადოებრივ ჯგუფებს უმეტეს ნაწილად სხვა, უფრო ძლიერ  
ერის მონობა მოელის და მათი ბედი იძღენად უფრო მძიმე  
და აუტანელია, რამდენადაც მათი ბატონი ხეპრე და გაუნა-  
თლებელია.

რუსეთში ეროვნებათა დევნის ისტორიამ ცხადად და-  
მტკიცა, რომ რუსეთის მთავრობის რუსიფიკატორული პოლი-

ტკია სრულიად უნაყოფოა. ეროვნულ კულტურის თავისუფლებისათვის ყველაზე უწინ საქირია უზრუნველყოფა ეროვნულ კულტურის ხელშეწყობისა, ამ-სთვის საქირია სრულად თავისუფლება ეროვნულ კულტურისა, რომელიც იგულისხმებს, გარდა სარწმუნოების თავისუფლებისა, შინაურ ს. ეკლესია ორგანიზაციის ავტონომიასაც, რაიც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ეკლესიებს თანასწორობა მიენიჭება. ასეთ წყობილების შემოღების შემდეგ შეუძლებელი იქნება საეკლესიო მამულების კონფისკაცია, სკოლების დაკეტვა და სხვა ამგვარი ძალმომრეობა. ეროვნული თვით-გამორკვევა აგრეთვე იგულისხმებს სამშობლო ენის ხმარების უფლებას კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საჯარო კრებებზე, კერძო სკოლებში და სხვა. რუსეთში მოსახლე ერებს უქანსკენელ ხანაზე წართმეული ჰქონდათ ეს მარტივი უფლებები; პოლონეთში საზოგადოებრივ დაწესებულებებში და ქუჩებშიაც კი პოლონურ ენის ხმარება პოლიტიკურ და ნაშაულობად ითვლებოდა, აკრძალული იყო მალორასიული და ლიტუურ ენაზე წიგნების ბეჭდვა და ამ ხალხს ეროვნულ ტანისამოსის ტარებასაც კი უკრძალავდნენ. ყველა ერებს უფლება უნდა მიეცეს დააარსონ ისეთი კავშირები და საზოგადოებები, რომელთაც მიზნად აქვთ ეროვნულ კულტურის განვითარება, სასწავლებლები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი და სხ. ყველა ამას ჰქვია ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება, რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იქნას ძირითად კანონებით. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პატარა და გაფანტული ერები ამ უფლებით სავსებით დაკმაყოფილები არიან.

ამაზე უფრო ძნელი და რთულია მგორავ საკითხი: მოწესრიგება სახელმწიფო და ადგილობრივ ენების ხმარებისა სახელმწიფო დაწესებულებებსა და სახელმწიფო სასწავლებლებში, მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის სამართლიან გადაწყვეტას თან მოსდევს თითქმის სრული გაუქმება და მოსპობა ეროვნულ შუღლისა. ზოგიერთ სახელმწიფოს კონსტიტუცია ენებს თანასწორობას ანიჭებს საერთო პარლამენტში. მაგალითად, კანადის ძირითად კანონების ძალით, პარლამენტის საქმეების წარმოებაში ინგლისური და ფრანგული ენები თანასწორი არიან; ეს თანასწორობა გამოიხატება არა მარტო კამათში, არამედ არქივებში, ოქმებში და პარლამენტის აქტებში, რომელნიც ორივე ენაზე უნდა იწერებოდეს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. იქ, სადაც მრავალი ენა ერთად შეყრილი, ან ერთი ერი ძლიერ სპარბობს დანარჩენ ერებს. ენათა თანასწორობა ფაქტიურად შეუძლებელია. თითქმის ყველა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც მრავალ ენით არის დასახლებული, ცენტრალურ დაწესებულებებში სახმარებლად აღიარებულია რომელიმე ერთი ენა. სულ სხვანაირად არის საქმე ადგილობრივ დაწესებულებებში. ისტორიულად დაშვიდებული კარჩაკეტილობა ყოველგვარ ბიუროკრატისა ფებს იმაგრებს და უფრო ვითარდება მაშინ, როცა ბიუროკრატია ხალხისთვის უცხო ენაზე ლაპარაკობს. სახელმწიფოს მაღლიანობის განყენებულ იღვას მსხვერპლად სწირავენ ხალხის ანბანურ და ელემენტარულ უფლებებს. ადგილობრივ ენისა და ცხოვრების მკოდნენი ასეთ შემთხვევაში ძალაუვნებურად ადგილს უთმობენ შორიდან მოსულ დაქირავებულ მოხელეებს, რომელნიც ბოროტად ხმარობენ თავიანთ უფლებას და ემტერებიან ადგილობრივ ხალხს, მის ენას და მის კულტურას. რუსეთში

ასეთმა ადმინისტრაციულმა სისტემამ შესაფერისი წილი მოიღო. მთელ ქვეყანაზე არც ერთი ბიუროკრატის უნაქმლო იხე ძლიერ, როგორც სხუთთა რუსი მოხელეები პოლონეთსა, ფინლიანდიასა და კავკასიაში. ყველაზე მეტი ხარალი მოაქვს ხალხისთვის რუსულ ენის ხმარებას ისეთ დაბალ დაწესებულებებში, რომელნიც შეკავშირებული არიან პირდაპირ ხალხთან. დაბოი ხალხი, გლეხობა რომელმაც თავის სამშობლო ენის გარდა სხვა ენა არ იცის, უკონტროლო მსხვერპლი ხდება სოფლის მწერლებისა და პატარა ბიუროკრატების თვითნებებისა. სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება დიდად აფერხებს ადგილობრივ თვითმმართველობისა, ნათუც ვეკილთა სასამართლოსი და სხვაგვარ ადგილობრივ დემოკრატიულ დაწესებულებათა შემოღებას. გარუსების პოლიტიკის გამო რუსეთის მთავრობამ პოლონეთსა და კავკასიაში დღემდისაც არ შემოიღო ერობა და დაპოუცილებელი სასამართლო. ყველა დემოკრატი, ვისაც კი სწამს, რომ ხალხი კი არ უნდა ემსახურებოდეს დაწესებულებას, არამედ დაწესებულება — ხალხს, ადვილად გაიგებს, რომ შეუძლებელია ერობისა და თვისუფალ სასამართლოს შემოღება იქ, სადაც აკრძალულია სამშობლო ენის ხმარება. ასეთ შემთხვევაში პრინციპები გვერდზე უნდა გადაიდოს და პრაქტიკულ მოსაზრების ძალით მოხდეს ადმინისტრაციულ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია. თუ ასეთ დაწესებულებებში ისევ რუსული ენა დარჩა, ეს რფეორმა საუკეთესო იარაღი იქნება გარუსების მოტრფილიეთის, მაგრამ საჩვენებლობის მოტანა მათ არ შეუძლიანთ.

ესლა ენახოთ, როგორ არის მოწყობილი ენათა საქმე დასავლეთ ევროპაში. ამ შემთხვევაში ერთმანეთში არ უნდა აარიოს შინაურ საქმის წარმოებისა და ხალხთან სახმარებელი ენები. სასამართლოებისთვის და ადმინისტრაციულ დაწესებულებებისთვის შინაურ საქმეებში და სხვა მიწერ მოწერაში სავალდებულო არ არის სახელმწიფო ენის ცოდნა და ხმარება. ეს მხოლოდ პრაქტიკული საკითხია.

შეიძლება ცენტრალურ დაწესებულებებთან მიწერ მოწერა სახელმწიფო ენაზე სწარმოებდეს, ადგილობრივ დაწესებულებებთან კი-ადგილობრივ ენაზე.

ადმინისტრაცია ხალხს მხოლოდ ამ ხალხის ენაზე უნდა ელაპარაკებოდეს, სასამართლოში ერთად ერთი ენა უნდა იყოს — ადგილობრივი ენა. ამასთან უეჭველად უნდა დაკანონდეს, რომ იმ ადგილებში, სადაც ერთი ერი ცხოვრობს, ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ ეს ენა უნდა იხმაროს. ამ კანონს უნდა დაემორჩილონ არა მარტო ადგილობრივი ადმინისტრაციული დაწესებულებანი და თვითმმართველობისა, არამედ ცენტრალურ დაწესებულებათა ადგილობრივი ორგანებიც, მაგალითად, პოლონეთში ან ფინლიანიაში სახალხო პალატაში და სხვა ასეთ დაწესებულებაში უნდა იხმარებოდეს პოლონური ან ფინური ენა. ენების ხმარების საკითხის გადაწყვეტა ძალიან ძნელია ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე ერი ცხოვრობს. ასეთ ადგილებში რომ სახელმწიფო ენა შემოიღონ, ეს უფრო უარესი უსამართლობა იქნება, რადგან ყველა ერები იძულებული იქნებიან იმ ენით ისარგებლონ, რომელიც მათ არ ესმით. ასეთ შემთხვევაში საკითხის ერთად ერთი სამართლიანი გადაწყვეტა არის ენების თანასწორობა, რაიც იმაში გამოიხატება, რომ ყველა ოფიციალური განცხადებანი და დადგენილებანი ყველა ადგილობრივ ენაზე უნდა დაიბეჭდოს; დაწესებულებებში მომჩივანს ან რაი-

მე საქმისთვის მოსულს იმ ენაზე აძლევენ პასუხს, რა ენაზე-  
დაც ლაპარაკობს სასამართლოში მოსული.

როცა საქმე სკოლას შეეხება, საკითხი მწვავედება და  
რთულდება. სკოლა ის წყაროა, საიდანაც ეროვნული კულ-  
ტურა გამომდინარეობს. სკოლა ასახრდოვებს მას და იცავს  
გადამწეობისგან. საკვირველი არ არის, რომ ყველგან და ყო-  
ველთვის სკოლა ის წერტილი იყო და არის, რომლის გარ-  
შემო იკრებოდა და ერთდებოდა ოპოზიცია ყველა თვისებისა  
და მიმართულებისა და რომლისკენაც იყო მიმართული  
მოწინააღმდეგეს მთავარი იერიშები.

სხვა და სხვა ერებით დასახლებულ ოლქებში უმცირესობის  
უფლებათა უზრუნველყოფე შეიძლება მათთვის ცალკე სკო-  
ლებისა ან პარალელ კლასების დაარსებით. თუ ასეთ ხარჯს  
მკირე თემი ვერ გაუძღვება, მას უნდა მიეშველოს ადგილო-  
ბრივ თვითმმართველობის ორგანო ან სახანინო დაწესებულება.  
ადგილობრივ ენების გარდა ყველა სკოლებში სავალდებულო  
უნდა იყოს სახელმწიფო ენის ცოდნა. რადგან მისი ცოდნა  
აერთებს ყველა ერებს და გზის გაკვლევას უადვილებს.

მაგრამ შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, ვითომ ზემოხსენ-  
ებული საშუალებანი ეროვნულ საკითხს სპობდეს. ყოველ  
კოტხდ თუ ბევრად მოზრდილ ერს, რომელმაც საუკუნოებით  
შექმნა გარკვეული კულტურა და რომელსაც ბრწყინვალე  
ისტორია აქვს, ყოველთვის ექნება მისწრაფება პოლიტიკურ  
დამოუკიდებლობისადმი! ამ მისწრაფების აღმოფხვრა არა-  
ვითარ ღვენით და არავითარ დახაგვრით არ შეიძლება. ის  
დიდებული იდეალი თავისუფალ და დამოუკიდებელ იტა-  
ლიისა, რომლის გულისთვის ცნობილი მაკიაველი „ხანჯლის  
და საწამლავის“ პოლიტიკასაც კი ამართლებდა, მიხანი  
იყო ყველა იტალიელისთვის იმ დრომდის, სანამ აპენინის  
ნახევარ კუნძულის დაქუცმაცებულ ოლქები ერთ მძლავრ  
ეროვნულ სახელმწიფოდ არ შეერთდნენ. ხანგრძლივ და მედ-  
გარ ბრძოლაში ეროვნული თვითშეგნება განვიხარდა და  
გამტყიცდა; იტალიელები ათასობით იფლიტებოდნენ და აეს-  
ტრიის ციხეებში ღებოდნენ, და გამწვავებული ბძოლაც მხო-  
ლოდ მაშინ შესწყდა, როცა თავისუფალი იტალია ფაქტად  
გადაიქცა. იტალიელებმა თავის მიზანს მიღწეის და მიყურ-  
დნენ. ასეთ შემთხვევებში გაბატონებული მთავრობა სხვა ერებს  
აძლეგს შეზღუდულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ავ-  
ტონომიას და ამით ნიადაგს ჰქმნის ეროვნულ დახაგვრის მო-  
სასპობად. სკითხის ასეთი გადაწყვეტა პოლიტიკური შორს-  
მკრეტელობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მთავრობა ძა-  
ლით აწერებს ეროვნულ მისწრაფებას საქმე უეჭველად სისხ-  
ლის ღვრით უნდა გათავდეს. ავტონომიის მხოლოდ მაშინ აქვს  
რეალური ნიადაგი განსახორციელებლად, როცა დანტერე-  
სებულ ერს აქვს ნათლად აღნიშნული გეოგრაფიული საზღვრე-  
ბი, ე. ი. როცა იგი დასახლებულია ერთ რომელსამე ტერი-  
ტორიაზე. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიული ავტონომია  
იმავე დროს ეროვნულ ავტონომიას წარმოადგენს. ბ.

(შემდეგი იქნება)

**დ ა ბ რ უ ნ დ ა!**

(დასასრული)

სოფელს შავი ზეწარი გადაეფარა. დასავლეთიდან დაუ-  
ბერა ქარმა, რომელიც თანდათან ძლიერდება და ზუზუნით  
დაჰქრის მიძინებულ, ბნელით მოკულ არემარეზე. შავი, სქე-

ლი ღრუბლები მოედო უეცრივ ცას და ცა თითქმის ჩამო-  
წვა, დაუახლოვდა დედა მიწას. არსად სინათლე არა წინან-  
არც ზეცასა, არც დღეამიწაზე და ამ ბნელსა და ქარსს ზუ-  
ზუნში განსვენებას მისცემიან ადამიანი, პირუტყვები და ფრ-  
ნველები. სამე თუ გაისმის ვიწრო ქანდარაზე მიძინებულ  
ქათმის ფრთხილი, ძაღლის ყვევა, საქნლის ფეხისა და რქის  
ხმაურობა და ბატის უმიზეზო, უსიამოვნო კვილი.

მიხა ლაცაბიძის სახლი სოფლის ერთ-ერთ-უბანში გან-  
მარტოებითა სდგას და თავის პატარ-პატარა შენობებით სი-  
ბნელეში შავ დიდრონ ლაქებსა ჰგავს. აქაც ძილია გამეფე-  
ბული. თლილი ქვის მალაღსა და განიერ ბუხარში შედებულ  
ჯირკს ალი მოსდებია და მკრ ალად ანათებს ბოლოსს პატა-  
რა ოთახს და ფართო, გრძელ ტახტს, რომელზედაც მიყრი-  
ლან ზოგი აღმა, ზოგიც დაღმა, მიხას მოხუცებული დედ-მამა,  
პატარა ძმები და დები. გაქანოლ, გადუკრავ ბალიშებზე მიუ-  
დვით თავი, სქელი, დაკანკილი საბნები წაუხურავთ და  
ღრმა ძილით სძინაეთ.

ჯირკს გარშემო ცეცხლი ჭაფერფლილა და ფიფქს ნა-  
ცარში ნაკვერჩხალი ოქროს ფრად გამოიყურება. ოთახში  
მძიმე სუნი ტრიალებს. სრული სიჩუმეა. ყველას სძინავს, არ  
სძინავს მხოლოდ მიხას

დედას მისთვის ბუხართან იატაკზე სუფთა ლოგინი გაუ-  
შლია. შუა ღამე გადასულია, მიხა კი ბორცავს ქვეშაგებში,  
წვალობს, თვალებს ძალად ჰხუქავს, მაგრამ ვერ დაუძინია.

დაღლილია, რამდენიმე ღამის უძილო სხეული დანტერე-  
ული, მიღუბებული აქვს. მაგრამ მის თვალებს ძილი არ  
ეკარება.

ის წვალობს. უსიამოვნო, შემაწუხებელი ფიქრები დას-  
ტრიანობენ თავს, გული ეკუმშება, სტრილობს მოიშოროს  
თავიდან ფიქრები, ძილს მისცეს თავი, რომ აღარ იგრ-  
ძნოს არეფერი, რომ ეს ღამე, ეს წუთები როგორმე შეგმო-  
კლოს, შეამციროს. მაგრამ ერთ-ერთმანეთზე მწვავე ფიქრე-  
ბი, როგორც ფუტკრის გუნდი, დაზუიან მის თავში და გულს  
რკინის რკოლივით უქერენ

მიხამ ხან პაპიროზს მოუკიდა. ხან წყალი დალია, ხან  
სცადა, სასიამოვნო ფიქრებით დავეწვყებინა დარდივა-  
რამი, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. რაც დრო გადიოდა,  
მტანჯავი გრძობანი იზრდებოდნენ, ფესვებს ღრმად იღგამ-  
დნენ და იმონავებდნენ მის გულსა და სულს. ბოლოს მთლად  
შეიპყრეს მთელი მისი არსება და მიხამ გადასწყიტა, ძილს  
გამოსთხოვებოდა და მთლად ფიქრებს მისცემოდა.

ამით ეგონა ტანჯვას შეიმკირება. არ იცოდა, რად  
იტანჯებოდა. აზრები დაკუმშულიყო აწეწილ ძაფის გორგა-  
ლივით. თავი და ბოლო არ უჩანდა. საჭირო იყო ნასკვევის  
სათითაოდ გამოხსნა, ძაფების რიგზე დაწყობა.

ის ეძებდა ტანჯვის მიზეზს.  
პაპიროზს ერთხელ მოუკიდა, პირაღმა დეწვა, თვალები  
გაახილა და ფიქრებს მისცა თავი.

მიხა ფიქრობს. იგონებს წარსულს, უნდა დარდი გუ-  
ლიდან მოიშოროს. მის გახურებულ თავში სურათები, რო-  
გორც სინემატოგრაფში. ერთი-ერთმანეთს მსწრაფლად სცე-  
ლიან, ერთი მეორეს ალაგს იქერენ.

ავგერ რუსის სოფელია, — დიდი, უზარმაზარი, ათი მისი  
სოფლის ოდენა. დაცემული ადგილია. შენობებს დიდ, ტრიალ  
მინდორში სოკოებსავით ამოუყვია თავი. გზებია — ფართო,  
სახლები — სხვანაირი, ცხოვრება, ხალხი — სხვანაირი.

ერთი როცა სალდათი, მათ შორის მიხაც ჩასაფრებულია

ერთ მდიდარ მემამულის სახლში, რომელიც სოფელზე მოშორებულია ნახევარ ვერსით. ზამთარია, არე-მარე გათეთრებულია, ღრმა თოვლი ძევს. ჰაერს ტაკ-ტაკური გაქვს; ჰყინავს. სალდათები მოთავსებული არიან დიდსა და თბილ თავლაში და ყური კირებისაკენ აქვთ, რაღაცას ელიან.

წინა ღამით როტის უფროსი კარგა ხანს ელაპარაკა მათ, ჯავრობდა, ვილაკებებს აგინებდა, ბოლოს მოაგონა ფიცი, მოვალეობა, რა პოლკშია ცხახურებდენ, იმ პოლკის ღირსება, აღუთქვა ათასგვარი ჯილდო და მემამულის სადგომში წავიდა, საიდანაც გათენებამდის მუსიკისა და სიცოცხლის-ხარხარის ხმა მოისმოდა.

მიხამ აფიცრის ლაპარაკიდან გაიგო მხოლოდ ერთი, რომ ამ სოფლის გლეხები „ბუნტობენ“, მემამულეს მოკვლასა და განადგურებას უპირებენ, რომ გლეხებს აღელვებენ და აბრძობებენ „შინაური მტრები“, რომლებსაც ჰქვიან აფიტატორები, და რომ მიღებული ფიცი ავალებს მიხას ყოჩაღად მოიქცეს და თავი ისახელოს.

დღილი აფიცრმა მოკლედ განუმეორა, რაც წინა დღით უქადაგა, უბრძანა, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად ყოფილიყვენ, წაიყვანა ერთი უნტერ-აფიცერი და სალდაც წავიდა.

სალდათები მოემზადენ, ჩაიცივენ, თოფები ხელში დაიჭირეს და მოლოდინში ზოგი პაპიროსხა სწევს, ზოგი მახარაობს, ზოგი კიდაობს.

— უნდა კარგად ვუჩვენოთ, როგორ უნდა ბუნტობა! — ამბობს ერთი მაღალ-მაღალი რუსი სალდათი და თან იმუქრება

— მაგ „ქალამნიანებს“ ჯერ არ უნახავთ სალდათის შტიქი! როდესაც ნახავენ, თავში ცველაფერი გაეფანტებათ, ამბობს მეორე და თოფს იმარჯვებს.

— ეხ, მალე კი იყვეს, და! — იხანის მესამე და ჯერჯერობით ეინს ხუმრობით თავის ამხანაგზე იყრის.

კარში რაღაც ხმაურობა ისმის. ვილაკებები, ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით მირბი-მორბიან ეზოში და ხმაურობენ.

— მოდიან! მოდიან! — ისმის ყოველ კუთხეში.

გადის ერთი საათი. ხმაურობა და ყვირილი ახლოვდება. თავლაში შემობრბის უნტერ-აფიცერი და აღელვებულის ხმით ამბობს: ძმებო, რამდენიმე ათასი „მუჟიკი“ თავს დაგვეცა, ყვირიან, იმუქრებიან, აქაურობას გადავწვავთ და სალდათებსაც ამოვხოცავთო. აბა, ჩქარა წავიდეთ, მარჯვეთ იყავით! — სალდათები ჩქარის ნაბიჯით კარში გადიან.

შემდეგ სურათს მიხა თავის დღეში ვერ დაიფიქვებს. ეზოს მახლობლად, მინდორში აუარებელ გლეხკაცობას მოუყრია თავი. ზოგს ორთითი უჭირავს ხელში, ზოგს კეტი, ცული. ხალხი დღლავს, ჰყვირის, ბობოქრობს. აფიცერი რაღაცას ელაპარაკება, მაგრამ ყურს არავინ უგდებს.

მიხა უყურებს ამ სურათს, მთელი ტანით ცახცახებს და ელის ბრძანებას.

როგორც სიზმარში ესმის მიხას უფროსის ხმა:

— на пуку — ку!

გონება ეხშობა, განსაცდელი ათრობს, აბრუებს და მისი ხელები ავტომატიურად მოქმედებენ. მიხა სცემს მარჯვნივ და მარცხნივ კონდახს, შუბს, გლეხები გარბიან, ეს ვარემოება ათამამებს მას და ცდილობს მეტი თავზარი დასცეს, მეტი გამობა გამოიჩინოს.

ამ ყვირილსა და ჩახა-ჩუხში მიხას ვილაკა უქანის. ჰხედავს აფიცრს შემოპხვევია ხალხი. ერთს მაღალ-მაღალ

უწევრ-ულვაშო, პირ-ნაყვავილარ გლეს ცალკე ქელით უჭირავს (რის ხელი გაუკავებია, რომელშიაც აფიცრს უჭირავს) უჭირავს, მეორე ხელი გულზე მოუკიდნია და დამახინჯებული, სახარელი სახით ეუბნება:

— აა, შენ უბრძანებ, დაგვხოცონ?! შენც იმ სისხლის მსმელებისაკენ ხარ?!

მიხას აღარ ახსოვს, როგორ ჩასდო პატრონა და როგორ ესროლა პირნაყვავილარ გლეს. ტყვიით განგმირული ის დაიკლავს, ხელები მალა შეისროლა და გულ-აღმა გადავარდა. უეცრივ სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი გაფრთხა... ისმოდა მხოლოდ თოფის საშინელი ტყვიანი...

ამ სურათს მეორე სურათი სცვლის. დღლა, სალდათები ვარჯიშობენ პოლკის ეზოში. მორბის როტის უფროსი გადათრებული და როტა საჩქაროდ ქალაქში მიჰყავს. გზა და გზა უფროსი უხანის სალდათებს, ქალაქში არეულობა და ჩვენ უნდა ჩავაქროთო. მართლაც, ქალაქის ერთ უბანში საშინელი აურ ხაუროს ისმის, საშინელი წივილ-კივილი, თოფისა და რევოლვერების სროლა, დუქანებისა და სახლების კარ-ფანჯრების მტვრევა. სალდათები უახლოვდებიან ამ უბანს. უფროსმა გაშალა სალდათები ერთ ქუჩაზე და უბრძანა: იდე-ქით აქ, აქეთ არავინ გაუშვათ. თქვენ არამც და არამც ჩხუბში არ ჩაერთოთო. ხალხი კი ამტვრევს იქაურობას და ხმა მალა გაიძახის: დაჰკარით ურები! დრო გამოშვებით მივარდება თავგანთილი სისხლით შესვრილი კაცი ან ქალი და ვევერდება სალდათებს: მიშველეთ, მკლავებო! მაგრამ სალდათები კონდახებთ უკანვე აბრუნებენ. გადის ხანი. წივილ-კივილი, ხმაურობა და რევოლვერების სროლა თანდათან ძლიერდება. რამდენიმე სალდათი ჩაერია იმაში, ვინც გაიძახდა: დაჰკარით ურები. მიხა უყურებს უფროსს, ის არაფერს ამბობს. მიხაც მისდევს მათ. ხალხი მიადგა ერთ დუქანს, გასტეხა იგი და შევიდა შიგ. დუქანს ამტვრევს, საქონელს ერთი ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯენ, კარში გამოაქვთ, მიხაც მოქმედობს.

ამ სურათს მეორე მოსდევს, მეორეს მესამე. მიხა უფიქრდება ყოველ სურათს, იხსენებს ყოველ წვრილმან შემთხვევას უკვირდება ვარემოებას და იტანჯება, მაგრამ ტანჯვის მიზეზი მაინც ვერ უპოვანია.

პირველად მოხუცმა სიდონიამ რომ უამბო თავისებურად მისი სოფლის ამბავი, მიხას გულზე რაღამაც უჩხვლიტა, მისდა უნებურად თვალწინ წარმოუდგა რუსეთში ნახანს სურათები. მაშინვე ვერ გამოერკვა, ვერ გაიგო, რად გაახსენდა რუსეთი და ეცადა გულიდან გადაეგდო. შემდეგ, სიდონიას რომ წამოსცდა ორიოდ სიტყვა მისი ოჯახის უბედურობის შესახებ, სულაც გადააფიქვდა, მაგრამ სახლში რომ მოვიდა და ძმის სიკვდილის მბავი გაიგონა, ეს სურათები ხელმეორედ გამოეცხადა წინ.

სად, რა შუაშია ეს სურათები?!

მიხა ბოზგავს ლოგინში. გაჯავრებული ხან ერთს, ხან მეორე გვერდზე ტრიალებს, მაგრამ ყველაფერი ამაოა: რამდენიმე წამის შემდეგ ისევ ამ სურათებს უბრუნდება და მათი მოგონება — გათვალისწინება მის გულს შეეხება არ აძლევს. თითქოს ის უბედურობა, რომელიც მის ოჯახს თავზე დაატყდა, ის უბედურობაა, რაც იქ რუსეთში მის თვალწინ მოხდა და რაშიაც იმანაც მიიღო პონაწილეობა.

ეს შემთხვევანი მიხას სატრიაბაზოდ ჰქონდა. დღემდის ის უყურებდა მათ, როგორც ომის დროს საგმირო საქმის ჩადენას. თავი მოსწონდა, სულიერ კმაყოფილებას ვრძნობდა,

ახლა კი, როდესაც მას სხვა თვალით შეხედა, როდესაც ჩაუყვირა იმ გარემოებას, რომელმაც გამოიწვია იქ, იმ სოფელში, ის სისხლის ღვრა და როდესაც დაუპირდაპირა მას თავის სოფელში მომხდარი ამბავი, — როგორც გაქცეული ცხენი ხრამის წინ, ისე შესდგა...

აზრები უარესად აეწეწა, აღელდა, ცივმა ოფლმა დაასხა, გული ქუას აღარ ემოჩნებოდა, ქუა-გულს და მთლად დაიბნა, გონება სულ დაეკარგა.

— რა შუაშია ისა და ეს? — ეკითხება ის თავის თავს, ის რუსეთია, აქ კი... რა აქ?

მის სოფელში მომხდარ ამბებსა და რუსეთის ცხოვრების შორის ხომ არ არის რაიმე კავშირი? სიდონიას სიტყვით აქ „ბუნტმა“ არა ყველაფერი, იქ? — პროპაგანდისტმა. იქ ღალატსა და სხვა გვარ გარდასახადს არ იხდიან გლეხები, არც აქ იხდიდნენ. იქაცა და აქაც ჯარები მოქმედობენ წინააღმდეგ, „აქციანებენ“, „არჯულებენ“ ხალხს. ხომ არ თამაშობს აქ რაღაცა განგება? ნუ თუ ერთ ტალღას წაუღევნია რუსეთიც და მისი სოფელიც? ყველა ეს ხომ არ ჰგავს იმ ჩხუბსა და სისხლის ღვრას, რაც დღეობაზე ბევრჯერ უნახავს და გაჰკვირვებია, რად უჩეხვენ თავებს და რად ასახიჩრებენ ერთმანეთს ეს მთვრალი, გამხეცებული ხალხი!

მიხამ ძალა დაატანა თავს, გაინაბა, გაყუჩდა და ძაფის ერთს წვერს მიაგნო. ეკვი რომელიც მას შეეპარა და გულს უღრღინდა, თან და თან ძლიერდებოდა.

როგორც დაბურულ ტყეში გზა დაბნეული ადამიანი, ისე, დაფორთხვდა მიხა თავის აზრებში აგერ ტყეში უგზო-უკვალოდ ხეტიალით დაღალულ-დაქანცული, იმედ-დაკარგული ადამიანი ხედავს, რომ ტყე თან და თან თხელდება. მოსჩანს სივრცე, თავისუფალი, შიშველი ჰაერი. გზა-დაბნეულის გული უხარის, გარბის, ჩქარობს, ტყის კედელი გაარღვიოს და სივრცე, ქვეყნიერობა დაინახოს, გაარღვია კიდევ, გავიდა სივრცეში, მაგრამ, ეს რას ნიშნავს? წინ უძევს უშველემელი, საზარელი ხრამი რომლის ერთი დანახვაც კი შეზარავს ადამიანს.

მიხამ გართვა თავი აწეწილ აზრებს, მაგრამ შესდგა, თავზარი დაეცა, წინ წასვლა შეუძლებელი იყო.

იპოვნა ტანჯვის მიზეზი, მაგრამ რომ არ ებოვნა, სჯობდა. მაშინ არ იცოდა, რა სტკიოდა, ახლა იგრძნო მტკივანი ადგილი და ტკივილმა უმატა.

მისი არსება ორად გაიყო. ერთი მათგანი — დამნაშავე — მოიკუნტა. საცოდავი, შესაბრაღისი სახე მიიღო. ხოლო მეორე მოსამართლე — მრისხანედ და შეუბრალებლად დაჰყურებდა თავზე და ბოროტის ხმათ ჩასჩურჩულებად: გესმის? გესმის, შენ იქ რად გაგვხანენს და იქაური აქ რად გამოგვხანენს? ხომ გესმის ახლა, შენ იქ რად მოჰკალი და რად დაარბიე მცხოვრებნი და იქაურმა აქ რად მოჰკლა შენი ძმა და რად დაარბია შენი სოფელი? შენ იქ თოფი გაისროლე, ტყვია აქ შენს ძმას მოხვდა! შენ აი იქ, ყუთში რომ ნაქურდალი ნივთები დიწყვია, რუსეთიდან აქ ჩამოიტანე, იქაურმა კი აქედან, შენი სოფლიდან, იქ, თავის სოფელში, წაიღო! ვინ არის შენი ძმის მკვლელი? შენ, შენი! შენ მოჰკალი შენი ძმა! შენ ხარ უსინდისო, საზიზღარი ქურდი! მკვლელო! მკვლელო! ქურდი! — ჩასახოდა შეუბრალებლად საიდუმლო ხმა და მიხას შუბლზე ცივ ოფლს ასხამდა. გული ეწოდა, თვალები ღობეზე მიმწყვედვულ ნადირს მიუგავდა....

მიამომა მეორედ იყილა კარში გაშმაგებული ქარი ჰგლეჯავდა არე-მარეს, ღონივრად აწვებოდა სანღრს კედლებს და ქრატუნი ვაჰქონდა. ოთახში კი კვლავ სიჩუმე იყო გამეფებული.

მიხა წამოჯდა ქვეშაგებში და თვალი გადაავლო მძინარე დედ-მამასა და ბავშვებს. ყველას ღრმად ეძინა. ვინმე თუ დაიკრუსუნებდა ძილში, ან, რწყილებისგან შეწუხებულ, თუ შეიშუმუნებოდა და ნაკბენ ადგილის ფხანას თ მოჰყვებოდა.

კარგა ხანს ათვალიერებდა ოთახს, შემდეგ საჩქაროდ წამოვარდა ლოგინიდან და ტანისამოსს დაავლო ხელო.

ცდილობდა, არ დაეხმაურებინა, რომ არავის გამოღვიძებოდა, ათრთოლებულის ხელით იცვამდა ტანისამოსს და ფანჯარას თვალს არ აშორებდა.

დაჩქარება საჭირო იყო, რადგან ღამის სიბნელეს ოდნავ ფერი დაჰკარგოდა. ტანისამოსის ჩაცმას რომ მოჩნა, ფეხ-აკრეფით მივიდა კუნჭულში, ხელი მოუსვა თავის ყუთს და კარებს მიაშურა.

კარები ჰრიალით გაიღო და ჰრიალითვე მიიხურა. მიხა თავშიშველა გავარდა კარში და შეჩერდა. ცივში ქარმა დაჰკრა გადაღვლილ გულზე, თმა გაუწეწა, შეამკიცხა, მაგრამ სიცივეს ვე გრძნობდა, ჩქარის ნაბიჯით მაღლშია ვენახის ღობეს, გადახტა ზედ და ხეხილებში მიიმალა.

ქარი ჰგლეჯდა ხეხილებს, რომლების ხმაურობა და ვენახის გვერდზე მომდინარე რუს ხრიალი ადამიანს უნებურ შიშს უნერგავდა გულში.

მიხა შეჩერდა ერთ ხის ქვეშ, დასდო ძირს ყუთი, ღობეს გამოამტვრია ერთი ღლია ხმელი ჩინჩხვარი და იმავე ხის ქვეშ მიიტანა.

რამდენიმე წამის შემდეგ ძირში გაჩენილი ალი ქარის მეოხებით გაძლიერდა და გაანათა მიხას გვიფორებული, არეული სახე და დიდრონი შავი თვალები, რომლებიც შიშსა და დაბნეულობას გამოხატავდნენ.

ის თვალს ადევნებდა ცეცხლის ალს, რომელიც ერთი კუთხიდან წსწრაფლ ეღებოდა ხმელ შეშას და ქარს ალოცა და კვამლიც შორს, განზე მიჰქონდა. მიხა უცბად გამოტრიალდა, ათრთოლებულის ხელით გააღო ყუთი, ახადა თავს და გიჟივით, რაც კი რამ იყო ყუთში, სათითაოდ ცეცხლში სროლა დაუწყა.

ალი პატარა ხანს დაიკარგა, მიიმალა, თითქოს ცეცხლი ჩაჰქრა კიდევ, შემდეგ გაიმარჯვა და ზედ დაყრილ ნივთებს ნელ-ნელა გარშემო მოედო. ალსა და კვამლში ბუნდად მოსჩანდა სხვა და სხვა სიღიდის ნაჭრები აბრეშუმეულისა, ფარჩისა, ჩითისა, მაუღისა, ზოგი შეუყვარავი, ზოგიც შეკერილი ტყავის რაღაცა ნივთები და ბევრი სხვა რამ, რომლებსაც ცეცხლი თანდათან ეღებოდა, ფორპას, სახეს, ღირსებას უკარგავდა და თანდათან ფერფლად აქცევდა.

მიხა შეშლილსა ჰგვანდა, იყურებოდა აქეთ-იქით და გაშმაგებული ისროდა ცეცხლში ყუთიდან ამოღებულ ნივთებს, უცბად ხელში მოხვდა რაღაც მაგარი, რომელიც ჩგრე-ბში იყო გახვეული და ბაწრით შემოქერილი. მიხამ საჩქაროდ შემოასკლა ბაწარი, გადაშალა ჩგრე-ბი და ხელში შერჩა დიდი საათი, მოკლე მსხვილი ძეწყვით, რომელიც ცეცხლის ალზე ყვითლად აბრქეილდა და მიხას თვალი მოსჭრა. მიხა კარგა ხანს დაჰყურებდა ზედ, რამდენჯერმე მიიღო ყურზე,

დაფიქრდა და თითქოს ხელი დასწვაო, საჩქაროდ ცეცხლში სტეპორცნა. საათი ძემკვით ნახშირსა და სქლად დადებულ ფერფლში მიიმალა.

მამალმა მესამედ იყივლა და ღამის წყვილიად ნათელი შეეპარა. ქარი უტბად ჩადგა. გაქანებული ღრუბლები შესდგენ. შეჯჯუფდნ და უფრო ძირს ჩამოწვენ. აქა-იქ უბნებში კარების კრიალი მოისმა. ვიღაც საქონელს ხმა-მალდა ერეკებოდა: სოფელნი იღვიძებდა.

მიხა არ შორდებოდა თავის ადგილს. ჯობით ურევდა ცეცხლს, ჩინჩხვარს უმატებდა და სქლად დადებულ ფერფლს სჩხრეკდა, არ უნდოდა, რომ დამწვარ ნივთების ნასახიც კი დარჩენილიყო. ბოლოს გაიძრო „მუნდირი“, შეახვია და ცეცხლზე დაადო.

სახე თანდათან ეწმინდებოდა, თვალ ბზა ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღეს. მხოლოდ ცოტადენი დალილილი ბა ეტყობოდა მაგრამ მის ნაცვლად სახეზე რალაცა უცნაური ძოლა, რალაცა გარდაწყვეტილება, სიმტკიცე ეხატებოდა...

ს.გ. ყაფაანა.

რედაქტორი ფ. გოგინიაშვილი

გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

# განცხადებანი

## საყვანვილო ნახსტამიანი უკრნალი

# ჯეჯილი

### გამოვიდ. მეორე ნომერი

**შინაარსი:** შეეკეტი კუტიკო. (სურათი) დედა და ვანიკო (ლექსი) ი. ვედოშვილისა. -- კვიანი ვირთაგებო. -- ვეფხვი. -- უღროვო დარიგება (რუსულიდან) ტასოსი. -- ყვითელი ბებიო. მ. კინწურაშვილისა. -- ხატაურა ჩემო! ე. ვაბაშვილისა. -- მზიკაგან დაწუნებული ხელმწიფის შვილი. ხალხ. ზღაბ. -- რუხ. -- კისერა. მამინ სიბირიკისა. თარგ. ვ. მიქაბერიძესი. -- გამოცანები და სახუმარო კითხვები. -- ნამი (ლექსი) შიო მღვიმელისა. -- ღაქია-ვასლი ვაღმ. ქეთო ზარათაშვილისა. -- უგულუო ბავშვი. თარგმ. ვლ წერეთლისა -- ანდერსენი ან. წერეთ. გამოცანები და სხვ.

**რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საუურადღებოდ.**

დაიბეჭდა და იხყიდება საღებურ მიხ. ილოვის ბილეთის კახაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი თრ ნაწილად.

# ცხ. პრეზა და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია დღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია „სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: თფლის, книжный магазин „Подна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархипвили. (10 - 6)



იყიდება ტფილისში - საფთოთაქო საქონლის კავკასიის საეკტრო ამხანაგობასა და მის განყოფილებაში ბაქისა და ბათუმში.

გერმანული მოითხოვით ნაშრომები

„მოღზრინი“ მ. ვ. ლეგევიისი

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსავე დღეში ძველს ბებერას ღ მეტ-ნორცს ძირიან-ფსევინანდ, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს მთავრობისაგან დაბეჭეციებული, № 22437.

**Открыта подписка на 1906 годъ НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛЬ**

# ВОКРУГЪ СВѢТА

Съ 1906 г. журналъ будетъ выходить подъ новой редакцией, которая ставитъ своей задачей, не измѣняя программы ЖУРНАЛА, сделать его стѣжачище современному освободительному движению родины. Въ журналѣ найдутъ себѣ мѣсто очерки и картины, рисующи современную общественную жизнь культурныхъ странъ. Широкииъ сломятъ населенія Россіи, вступающія въ новый періодъ своей исторіи, необходимо ознакомиться съ тѣмъ, какъ живутъ государства, идущія впередъ нась по пути прогресса, какъ они устроили свою жизнь на началахъ СВОБОДЫ, РАВЕНСТВА и БРАТСТВА.

**ВЪ ТЕЧЕНИЕ ГОДА ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАЮТЪ:**  
**50** №№ художественно-литературнаго журнала.  
 Путешествія. -- Этнографія. -- Романы и повѣсти, изображающіе разныя приключенія на сушѣ и на морѣ. -- Очерки и разсказы. -- Стихотворенія. -- Спортъ. -- Картины. -- Иллюстраціи. -- Портреты. 1.200 страницъ въ т. кста

**ВЪ КАЧЕСТВѢ ПРЕМІЙ ПОДПИСЧИНАМЪ „ВОКРУГЪ СВѢТА“ БУДУТЪ ДАНЫ СЛѢДУЮЩІЯ БЕСПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ:**  
**Борцы за свободу.**  
 Альбомъ портретовъ дѣятелей русскаго освобожденія.

**24** книжки **ЭМИЛЯ ЗОЛЯ,**  
 РОМАНОВЪ  
 куда войдутъ слѣдующія произвед. польскою, всемірною извѣсти. ПИСАТЕЛЯ-РЕАЛИСТА:  
 Римъ. -- Лурдь. -- Парижъ. -- Трудъ. -- Углекопы. -- Правда.

**12** выпусковъ. **ПОЛНЫИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫИ ОБЩЕДУСТУПНЫИ ЛѢЧЕБНИКЪ ЗНАМЕНИТЫХЪ РУССКИХЪ ПРОФЕССОРОВЪ-МЕДИКОВЪ „КНИГА ЗДОРОВЬЯ“**, объемомъ болѣе 1.000 страницъ, страницъ, съ 500 оригинальными рисунками.

Подъ редакціей слѣдующихъ профессоровъ-медиковъ: Н. П. Гундобина, С. І. Зальскаго, А. А. Кадьяна, И. К. Коновнина, П. Я. Розенбаха, лейбъ-окулиста Н. И. Тихомирова и Г. Ю. Явейна.

I. Гигиена, или какъ надо жить, чтобы не хворать. Редак. проф. С. І. Зальскаго. II. Естественные методы лѣченія, или какъ лѣчить, не принимая лекарствъ. Редак. проф. Н. П. Гундобина. III. Внутренніи болѣзни (легкихъ, сердца, желудка, кишечъ и т. д.). Редак. проф. Г. Ю. Явейна. IV. Дѣтскія болѣзни, гигиена ребенка и уходъ за дѣтми. Редак. проф. Н. П. Гундобина. V. Хирургія. Редак. проф. А. А. Кадьяна. VI. Болѣзни нерви, системы. Редак. проф. Н. И. Розенбаха. VII. Душеви болѣзни. Редак. проф. Н. Я. Розенбаха. VIII. Глази болѣзни. Редак. лейбъ-окулиста, проф. Н. И. Тихомирова. IX. Анатомія и физиологія (жизни и строеніе челоа. тѣла). Редак. проф. Н. П. Гундобина. X. Болѣзни кожи, волосъ и ногтей. Редак. пр.-доц. И. К. Коновнина. XI. Отравленія, несчастные случаи, аптека и домашн. аптечка.

Въ отдѣльной продажѣ „Книга Здровья“ стоить 3 рубля.

Кромѣ того, съ прилатою одного руб. подписчики „Вокругъ Свѣта“ получаютъ ЦѢННОЕ приложеніе -- художественно-исполненную въ иськолкохъ краскахъ картину извѣстнаго художника **Н. П. БОГДАНОВА-БЕЛЬСКАГО „ГАЗЕТА ВЪ ДЕРЕВНЬ“**, снимокъ съ послѣдней его картины, обратившей на себя всеобщее вниманіе на Передвижной выставкѣ въ Москвѣ и Петербургѣ въ 1905 г. и посвященной добродѣтели отношеній подвижной деревни съ послѣднимъ событіямъ русской жизни. Оригиналъ, съ котораго воспроизведенъ снимокъ, приобѣтенъ съ Передвижной выставки за 3.000 рублей.

<b>4</b> Р.	ЦѢНА НА ГОДЪ безъ картины „Газета въ деревнѣ“ съ перес. и доставк.	ДОПУСКАЕТСЯ РАЗРОЧКА: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 июля 1 р.	<b>5</b> Р.	ЦѢНА НА ГОДЪ съ картиной „Газета въ деревнѣ“ съ перес. и доставк.
-------------	--	---	-------------	---

Адресъ: Москва, Петровка, д. Матвѣевой. Редакція журнала „Вокругъ Свѣта“.  
 Издави: Т-ра И. Д. СЫГИНА.